

გენდერი და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საქართველოში

ხელმისაწვდომობა გოგონებისა და ქალებისთვის საქართველოში

თბილისი
2007

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების მხარდაჭერით

NEWW



"Kvinna till Kvinna"



OSCE/ODIHR



**დაიბეჭდა ქალთა
პოლიგრაფიულ სერვისში**

მისამართი:
წინამძღვრიშვილის 40,
თბილისი 0102,
საქართველო
ტელ./ფაქსი (995 32) 942 699
ელ-ფოსტა: wps@ginsc.net

ავტორები:
**ელენე რუსეცკი
ალექსანდრა დელემენჩუკი**

სამუშაო ჯგუფი:
**ნინო მოდებაძე
თეა მეტრეველი
მამუკა გაჩეჩილაძე
ეკა სხილაძე
კრისტინა მელიკ-ოგანიანი**

გარეკანის დიზაინი
თონა ღვინჯილია

დაკაბადონება
პაატა მამფორია

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციას, რომელიც დახმარებას უწევდა კვლევით ჯგუფს საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში.

ISBN 978-9941-0-0045-4

სარჩევი

დახმარება და მხარდაჭერა:.....	5
ქალთა საინფორმაციო ცენტრი	5
NEWW წიგნისა და ჟურნალის პროექტი.....	8
ეუთოს დემოკრატიული ინტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR)	8
ფონდი Kvinna till Kvinna	9
ქალთა პოლიგრაფიული სერვისი	10
რეზიუმე.....	11
გამოკვლევის მოკლე აღწერა.....	11
ძირითადი შედეგები.....	12
კომპიუტერით სარგებლობა და მისი გამოყენების დაბრკოლებები.....	13
შესავალი	15
მეთოდოლოგია.....	17
არსებული ICT ინფრასტრუქტურა	19
ICT-ის გამოყენება	23
ICT ინსტიტუციონალურ დონეზე	26
ICT-თან დაკავშირებული პოლიტიკა და ცოდნის გადაცემის შესაძლებლობები	28
იურიდიული რეგულირება და გამოსატვის თავისუფლება	30
საქართველოს კონსტიტუცია	30
კანონმდებლობა, რომელიც შეეხება ინტერნეტის რეგულირებას	32
კანონმდებლობა, რომელიც უკავშირდება ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერებს.....	32
ინტერნეტის შინაარსთან დაკავშირებული ნორმატივები	34
განხილვის ინიციატივები და გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვა ინტერნეტში	38
ზემოქმედება სამოქალაქო საზოგადოებაზე	41
ზოგიერთი მიღწევები:.....	47
რა გვაკლია.....	48
რა არის დაგეგმილი	50
ქალთა საინფორმაციო მოთხოვნილებების უზრუნველყოფა.....	53
ძირითადი შედეგები.....	53
კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევების ფასეულობის აღქმა	55
კომპიუტერებით სარგებლობა და სარგებლობის დაბრკოლებები	56
დასკვნები	57

საერთაშორისო პოლიტიკა	59
ქალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ განვითარებისთვის საჭირო ცოდნაში.....	60
ქალების შესაძლებლობების გაფართოება ICT-ის მეშვეობით.....	61
დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს სრულად გამოიყენონ ICT.....	62
დაბრკოლებების დაძლევა: ქალები ეუფლებიან ICT-ს.....	67
უცოდინრობის დაძლევა.....	68
ქალების სამენარმეო საქმიანობის მხარდაჭერა	68
საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციური როლი.....	69
ICT-ის მიწოდებისა და ხელმისაწვდომობის სისტემები	70
დროის პრობლემები ქალებისთვის	71
ქალებისთვის მოსახერხებელი ICT სისტემების განხორციელება	73
მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეკომენდაციები.....	74
კონკრეტული რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები	78
ქალებისთვის ICT სისტემების დაგეგმვისას შემდეგი ზოგადი საკითხები უნდა იქნას მხედველობაში მიღებული:.....	78
დანართი I.....	89
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში გოგონებისა და ქალების მხარდაჭერის შეთანხმების დეკლარაცია.....	89
ორგანიზაციები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას	95
დანართი II	101
ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა სია.....	101
დანართი III.	104
მონახულებული ორგანიზაციების ნუსხა	104



დახმარება და მხარდაჭერა:

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

ქალთა საინფორმაციო ცენტრი შეიქმნა ქალთა ინიციატივით 2000 წელს, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს კომიტეტის ხელშეწყობით. 2002 წელს ქალთა საინფორმაციო ცენტრი გახდა თანადამფუძნებელი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის. 2003 წელს დარეგისტრირდა როგორც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია.

მისია

ქალთა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური სტატუსის ამაღლება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ადგილობრივ, ნაციონალურ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი არის აღმოსავლეთ-დასავლეთ ქალთა საერთაშორისო ქსელის (NEWW) და ქალები ძალადობის წინააღმდეგ ევროპაში (WAVE) ქსელის წარმომადგენელი საქართველოში.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი აფართოებს პარტნიორულ საქმიანობას საქართველოს რეგიონებში. ორგანიზაციას ჰყავს პარტნიორი ორგანიზაციები შემდეგ რეგიონებში:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი – დემოკრატ ქალთა საზოგადოება

შიდა ქართლის რეგიონი – საზოგადოება „ბილიკი“

ცხინვალის რეგიონი – მეგობრობის ხიდი „ქართლოსი“

ქვემო ქართლის რეგიონი – ასოციაცია „ქალი და სამყარო“

ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებები

ქალთა საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს შემდეგი სახის საქმიანობას:

საინფორმაციო, საგანმანათლებლო საქმიანობა

ქალთა საინფორმაციო ცენტრს აქვს საინიციატივო ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაციული ბაზა კლასიფიცირებული პრიორიტეტული სფეროების მიხედვით თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში.

საინფორმაციო საქმიანობა ხორციელდება 5 თემატური საიტითა და გენდერული საინფორმაციო პორტალის მეშვეობით.

www.wicge.org

www.ginsc.net

www.youthknot.net

www.nasilie.net

www.antitraf.net

ლობირება და ადვოკატირება

ქალთა საინფორმაციო ცენტრი დიდ ყურადღებას ანიჭებს ლობირების საკითხს სახელმწიფო სამოქმედო გეგმების შესრულების, არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის და ახალი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში. თავისი საქმიანობით ქალთა საინფორმაციო ცენტრი ცდილობს ხელი შეუწყოს საზოგადოებისა და სამთავრობო სტრუქტურის კონსოლიდაციის პროცესს და აქტიურად თანამშრომლობს არსებულ ინსტიტუციურ მექანიზმებთან.

კვლევითი საქმიანობა

ქალთა საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს კვლევებს, რომლებიც წარმოადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს ქალთა და გენდერული კუთხით მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდებისათვის. www.ginsc.net გენდერული საინფორმაციო პორტალზე შეგიძლიათ იხილოთ ქალთა საინფორ-

მაცხო ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევები: ტრეფიკინგის პრევენცია საქართველოში, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა გოგონებისა და ქალებისათვის.

რეგიონალური მუშაობა

ქალთა საინფორმაციო ცენტრი ცდილობს უშუალო კონტაქტის დამყარებას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საინიციატივო ჯგუფებთან და აქტიურ ლიდერ ქალბატონებთან რეგიონებში ახდენს საჭიროებებისა და პრობლემების განსაზღვრას, კონკრეტული რეკომენდაციებითა და კონსულტაციების განხორციელებით აკავშირებს მათ ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან.

სოფლად მცხოვრები ქალები

განსაკუთრებულ ყურადღება ენიჭება მუშაობას სოფლებში. ქალთა საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს საჭიროებების შესწავლას, სოფლად მცხოვრებ ქალებს უწევს პოპულარიზაციას მათი ნაწარმის და ეხმარება რეალიზაციაში.

პირდაპირი დახმარება, კონსულტაციები

ქალთა საინფორმაციო ცენტრი უწევს სატელეფონო და პირდაპირ კონსულტაციებს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ცალკეულ პიროვნებებს. ხდება კონსულტაციების განხორციელება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, ფონდების მოზიდვაზე, ეხმარება მათ საიტების განახლებისა და შექმნის პროცესში.

არაკომერციული პიარი

ქალთა საინფორმაციო ცენტრი ახდენს უსასყიდლოდ ინფორმაციების გავრცელებას ქსელში, ასევე განთავსებას გენდერულ საინფორმაციო პორტალზე, სადაც არის სპეციალური რუბრიკები: ქალები პოლიტიკაში, ხელოვანი ქალები...

პორტალზე განთავსებულია გენდერულ და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საინიციატივო ჯგუფების საკონტაქტო ინფორმაცია კლასიფიკაციით. შესაბამისად ხდება ორგანიზაციათა საქმიანობებისა და ცალკეული ღონისძიებების უსასყიდლო პიარი.



NEWW წიგნისა და ჟურნალის პროექტი

1991 წლიდან NEWW-ის წიგნისა და ჟურნალის პროექტი მხარდაჭერას უწევს ქალთა მოძრაობებს შორის იდეებისა და ცოდნის გაზიარებას შეერთებულ შტატებსა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და რუსეთში (CEE/NIS/რუსეთი). პროექტმა დახმარება გაუწია გენდერულ გამოკვლევებს, ქალთა უფლებების დაცვის ცენტრების და ბიბლიოთეკების დაარსებას, მხარდაჭერას უწევს ორიგინალურ კვლევებსა და გამოცემებს ქალების ცვალებადი მდგომარეობის შესახებ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებსა და რუსეთში.

თერთმეტი წლის განმავლობაში წიგნისა და ჟურნალის პროექტმა გადასცა დაახლოებით 6500 წიგნი და ჟურნალი, ასევე 150 000 აშშ დოლარი მცირე გრანტების სახით მეცნიერებსა და აქტივისტებს, რომლებიც ფემინიზმის სფეროში მუშაობენ. ასევე ქალთა ორგანიზაციებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებსა და რუსეთში, რაც ხელს უწყობს გენდერული მეცნიერების, ქალთა მოძრაობის და ქალთა უფლებების დაცვის საქმიანობას.

NEWW-NY

Email: newwny@igc.org

167 Spring Street, #3

New York, NY 10012

USA

Fax (212) 226-8091



ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR)

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ეუთოს ოფისი ბაზირებულია ვარშავაში, პოლონეთში. ის მუშაობს მთელი ევროპის სივრცეში არჩევნების დაკვირვების, დემოკრატიული განვითარების, ადამიანის უფლებების, ტოლერანტობის, არა-დისკრიმინაციისა და კანონის უზენაესობის სფეროში.

ODIHR-ის როლი მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირის ქვეყნებს დაეხმაროს გენდერული სხვაობის შემცირებასა და სქესთა შორის თანასწორობის უზრუნველყოფაში რეალურ ცხოვრებასა და საკანონმდებლო დონეზე. ამის მისაღწევად მრავალი პრობლემა უნდა გადაიჭრას. ამ სფეროში რთული ამოცანების კომპლექსური ერთობლიობის დასაძლევად მან შეიმუშავა გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დემოკრატიულ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდას. ეს ხორციელდება მიზნობრივი საპროგრამო საქმიანობით, რომელიც ადაპტირებულია თითოეული ქვეყნის პირობებისთვის.

*Aleje Ujazdowskie 19
00-557 Warsaw Poland
Tel: +48-22 520 06 00
Fax: +48-22 520 06 05*



KVINNA TILL KVINNA

ფონდი Kvinna till Kvinna

ფონდი Kvinna till Kvinna მხარდაჭერას უწევს ქალებს ომითა და კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში.

ჩვენ ვთანამშრომლობთ ქალთა ორგანიზაციებთან ბალკანებზე, შუა აღმოსავლეთსა და კავკასიაში. ჩვენ მხარდაჭერას ვუწევთ ქალების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ გაძლიერების პროექტებს. ჩვენ გვსურს გავუფართოოთ შესაძლებლობები ამ ქალებს და მხარდაჭერა გავუწიოთ მათ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში.

*The Kvinna till Kvinna Foundation
Slakthusplan 3
S- 121 62 JOHANNESHOV
SWEDEN
Tel: +46 8 588 891 00
Fax: +46 8 588 891 01
E-mail: info@iktk.se*



ქალთა პოლიგრაფიული სერვისი

ქალთა პოლიგრაფიული სერვისი ახდენს მაღალი ხარისხისა და ყველა სახის საგამომცემლო მომსახურებას არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისათვის.

ქალთა პოლიგრაფიული სერვისის ჯგუფი ზრუნავს პროდუქციის ვიზუალსა და ხარისხზე.

ქალთა პოლიგრაფიული სერვისი სთავაზობს კონსულტაციებს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მცირე დანახარჯებით მიიღონ მაქსიმალური ხარისხის მომსახურება.

რეზიუმე

გამოკვლევის მოკლე აღწერა

მრავალდისციპლინარული გამოკვლევა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) და ქალები საქართველოში, რაც მოიცავს:

- ICT-ის ზემოქმედება ქალების განვითარებაზე;
- ICT-ის ხელმისაწვდომობა ქალებისა და გოგონებისთვის საქართველოში და არსებული დაბრკოლებები და შეზღუდვები;
- ICT-ის ხელმისაწვდომობა სოფლად, საქართველოში;
- ICT-ის ზემოქმედება ქალების გაძლიერების პროცესში;
- ICT-ი, როგორც ქალთა ორგანიზაციებისა და მოძრაობების სოლიდარობის ინსტრუმენტი;
- რეკომენდაციები პოლიტიკის უკეთ ფორმულირებისთვის, საქართველოში ქალებისა და გოგონებისთვის ICT-ის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სფეროში.

კვლევა მოიცავდა ორ განზომილებას:

- ემპირიულს – მონაცემთა კვლევასა და გადამუშავებას ზუსტი მაჩვენებლების მისაღებად და იმის დასადგენად, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ICT ქალებისა და გოგონებისთვის საქართველოში.
- პოლიტიკურს – რეკომენდაციების შემუშავებას უკეთესი პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის, რათა ქალებსა და გოგონებს უფრო ფართოდ მიუწვდებოდეთ ხელი ინტერნეტზე. CSO-სთვის სტრატეგიების და რეკომენდაციების ჩათვლით, რომლებსაც პროპაგანდა უნდა გაეწიოს საქართველოში გადამწყვეტილების

მიმღები პირების წინაშე. საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებებით შექმნას საინფორმაციო საზოგადოება საქართველოში. ასევე გათვალისწინებულ იქნას მოცემულ სფეროში ტექნიკური დახმარებისა და მოთხოვნილებების შეფასების საკითხები.

ძირითადი შედეგები

- პერსონალურ კომპიუტერებს და ინტერნეტს იცნობს 65%-ი.
- ორივე სქესის რესპოდენტების 44%-ი აცხადებს, რომ ისინი სარგებლობდნენ ინტერნეტით გარკვეულ დროს.
- ICT-ით სარგებლობის (მობილური ტელეფონის გარდა) მაჩვენებელი უფრო დაბალია ქალებს შორის, 44%-ი – საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. ქალების მიერ ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში და 36%, 32% და 28%-ს შეადგენს.
- ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი შედარებით მაღალია უფრო უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში: 16-დან 34 წლამდე გამოკითხულთა 70%-ი სარგებლობს ინტერნეტით, მაშინ, როცა 55 წლის ზემოთ ეს მაჩვენებელი 14%-ს შეადგენს.
- ასაკი ზემოქმედებას ახდენს ICT-ის გამოყენების სურვილზე. 55 წლის და უფროსი არა-მომხმარებლების დაახლოებით სამი მეოთხედი აცხადებს, რომ მათ არა აქვთ სტიმული ისარგებლონ კომპიუტერებითა და ინტერნეტით.
- არსებულ არა-მომხმარებლებს შორის, რომლებიც დაინტერესებული არიან ისარგებლონ კომპიუტერით ან ინტერნეტით, ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც ისინი არ სარგებლობენ ამჟამად, არის თავად კომპიუტერების ან (ინტერნეტში ჩართვისთვის) სატელეფონო შეერთების მაღალი ფასი. ეს განსაკუთრებით შეეხებათ 16 წლამდე ბავშვებს და იმ პირებს, რომლებსაც ძალზე უჭირთ.

კომპიუტერით სარგებლობა და მისი გამოყენების დაბრკოლებები

იმ პირთა შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ ამჟამად სარგებლობენ კომპიუტერით, დაახლოებით 85%-ი აცხადებს, რომ ისინი სარგებლობენ დაახლოებით კვირაში ერთხელ; 55%-ი აცხადებს, რომ სარგებლობენ კომპიუტერით ყოველდღიურად. სარგებლობის დროც ასევე მნიშვნელოვნად ცვალებადია. 25-34 წლის პირები დაახლოებით ორჯერ უფრო მეტ ხანს სარგებლობენ კომპიუტერით, ვიდრე 55 წლის და უფროსი ასაკის პირები (16 სთ და 8 სთ, გასული შვიდი დღის განმავლობაში). სხვა ჯგუფებს შორის სარგებლობის ხანგრძლივობის სურათი დაახლოებით სარგებლობის სიხშირის ანალოგიურია.

ICT-ის ინფრასტრუქტურა და ქალთა ორგანიზაციების გამოყენება შეზღუდულია, უმთავრესად პოლიტიკის მიმართულებების არარსებობის, ICT პოლიტიკისა და კვლევით ორგანიზაციებში რეფორმების მიმდინარეობის გამო. არსებული სიტუაცია უბრალოდ ასახავს ყოველივე ამ უარყოფით გარემოებებს და ის მნიშვნელოვანწილად შეიძლება გამოსწორდეს რიგი ინიციატივების მეშვეობით:

იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო ფირმების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან კოალიციების შექმნის ხელშეწყობა, რომლებიც ამჟამად ცალ-ცალკე მუშაობენ სოფლის მეურნეობის საერთო მიზნებისთვის, მაგ. სოფლის განვითარების ან სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესების მისაღწევად.

სოფლად, სადაც ტრადიციული ინფრასტრუქტურა (სატრანსპორტო, ელექტრომომარაგებისა და სატელეკომუნიკაციო საშუალებები) სუსტადაა განვითარებული ICT-ში ინვესტირება გაცილებით უფრო მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ეს სხვა ვითარებაში იქნებოდა. ამის გამოსწორება შეუძლია სოფლის განვითარების ფართო დანიშნულების პროექტებს, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებას მოახდენდნენ ICT-ის ეფექტურობის გაზრდასა და ICT-ში კაპიტალდაბანდების ხარჯების შემცირებაზე.

ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა: კვალიფიცირებული ადამიანური რესურსების გარეშე ვერ განხორციელდება ინვესტირება ICT-ის სფეროში და სავარაუდოდ წარმატებას ვერ მიაღწევს არსებული შეთანხმებები საერთაშორისო კომპანიებთან. სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის აუცილებელია მომზადებული სამუშაო ძალები ნებისმიერი ICT-ის აპარატურული უზრუნველყოფისთვის ადგილზე.

შესავალი

კომპიუტერების ხელმისაწვდომობა შედარებით ახალი მოვლენაა ჩვენს რეგიონში და სულ უფრო და უფრო საჭირო ხდება ნებისმიერი სამუშაოსთვის, არის ეს კონფერენციაზე „ონ-ლაინ“ რეგისტრაცია, PDF-ის დოკუმენტების გადმოქაჩვა თუ ელექტრონული პეტიციების შექმნა. ქალთა ორგანიზაციებს სჭირდებათ ICT უნარ-ჩვევები ნორმალურად ფუნქციონირებისთვის.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ ICT ცენტრის შექმნას ქალებისთვის განვითარებად ქვეყნებში. თავდაპირველად ის უზრუნველყოფს ინფორმაციის ერთმანეთისთვის გადაცემას გამოცდილების გაზიარებისთვის, აგრეთვე ქალთა ორგანიზაციებთან კავშირს, რაც ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის ქალებს და ისინი მეტ უნარ-ჩვევებს შეიძენენ ICT-ის სფეროში.“

რეგიონალურ ICT ინიციატივებს, რომლებსაც ქალები შეიმუშავებენ, აშკარად ბევრი რთული ამოცანა აქვს. მართალია ზოგიერთ რეგიონში სუსტადაა განვითარებული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ეს მაინც არაა ყველაზე დიდი დაბრკოლება. ქალები აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ქვეყნებში, როდესაც ისინი ხელმისაწვდომობის ნაკლებობაზე საუბრობენ, გულისხმობენ ასევე ICT-ის გამოყენების პოტენციალის არცოდნის, ინტერნეტის გამოყენების სწავლების ხელმიუწვდომლობის, სიღატაკისა და კულტურული ბარიერების პრობლემებსაც. როგორც განმარტა ერთმა ქალმა საქართველოდან: „მე არ მქონდა მათთვის გადასახდელი ფული [საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კურსებისთვის] და ამიტომ ბავშვებისგან ვისწავლე.“ ქალების უმეტესობა ახალი უნარ-ჩვევების შეძენის ნებისმიერ შესაძლებლობას ეძებს და თვითგანათლების რთულ სისტემას შეიმუშავებს. ეს ინიციატივა ითვალისწინებს ქალების მოთხოვნილებებს და სოციალურ-კულტურულ-პოლიტიკურ კონტექსტს, რათა უზრუნველყოს უნარ-ჩვევები, რესურსები, ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და განათლება ICT-ის სფეროში.

სიღატაკე მნიშვნელოვნად ამცირებს ICT-ის გამოყენების უნარ-ჩვევების, აგრეთვე საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას. სიღატაკის დაძლევა და სხვა რთული ამოცანები, რომლებიც ნიშანდობლივია ქალებისთვის, რეგიონის მრავალ ქალთა ორგანიზაციის ამოცანაა. ის, რაც აღმოსავლეთ ევროპის და დსთ-ის ქვეყნების უმეტესობას საერთო აქვს, არის გარდამავალი ეკონომიკა და საზოგადოება. ამდენად, ხანში შესული ქალები პირველები კარ-

გავენ სამსახურს და მათ არ გააჩნიათ ICT-სთან მუშაობის გამოცდილება, რომელიც სხვა სამსახურის საშოვნელად აუცილებელია.

ქალთა ჯგუფების უმეტესობა ჩართულია სიღარიბის, სიღატაკის შედეგების, გენდერული დისკრიმინაციის და არასტაბილურობის დაძლევის სამუშაოში. ქალთა ეს ორგანიზაციები საჭიროებენ ICT-ის უნარ-ჩვევებს, რათა მათ ეფექტურად გადაწყვიტონ ის ამოცანები, რომლებზეც მუშაობენ თავიანთი საქმიანობის დროს; ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც თავად ქვეყნების, ასევე რეგიონში მშვიდობისა და სამართლიანობისთვის.

სოციალური და კულტურული ასპექტები ასევე ახდენენ ზემოქმედებას იმაზე, თუ რამდენად შეუძლიათ ქალებს ინტერნეტის ეფექტურად და სათანადოდ გამოყენება. განიცდიან თუ არა ქალები დისკრიმინაციას ახალი ტექნოლოგიების თვალსაზრისით? გათავისებული აქვთ თუ არა ქალებს დისკრიმინაციული ფასეულობები ქვეცნობიერად ან ცნობიერად სტერეოტიპების გასამყარებლად თვით-ცენზურის სახით? აქვთ თუ არა აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ქვეყნებს ინფორმაციის გაზიარების კულტურა? კომუნიკაციის კულტურის საფუძველს ქმნის საზოგადოების პოლიტიკურ-სოციალური და რელიგიური სტრუქტურები. კითხვარიდან, რომელიც შემუშავებულია ქალების საჭიროებების დასადგენად, ICT-თან მიმართებაში, მხოლოდ ქალების 22%-მა განაცხადა, რომ მათ რეალურად გააჩნიათ კომუნიკაციის კულტურა. სხვა არაპირდაპირი დაბრკოლებები შეიძლება მოიცავდეს იმას, თუ როგორ წარმოადგენს მასმედია ქალებს ICT-სთან მიმართებაში. გამოკვლევის მიხედვით მხოლოდ 12%-ს მიაჩნია, რომ მასმედია ქალებს წარმოადგენს დადებითად და ემანსიპირებულად. პირველი, იმ ნუსხაში, თუ როგორია ქალის სურათი, არის „ბავშვები-სამზარეულო-ეკლესია“ (27%), ამას მოსდევს ქალის წარმოდგენა პორნოგრაფიული და შეურაცხმყოფელი სახით (25%), და საერთოდ არ ახასიათებს ქალს (24%).

გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ქალებს ხელი მიუწვდებათ კომპიუტერებსა და ინტერნეტზე სამსახურში, თუმცა საშუალოდ მათ რამდენიმე ქალი ინაწილებს.

ზოგიერთი კომენტარი ქალებისთვის ICT ტრენინგების აუცილებლობის შესახებ, ასეთია: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ICT ცენტრის შექმნას ქალებისთვის განვითარებად ქვეყნებში. თავდაპირველად ის უზრუნველყოფს ინფორმაციის ერთმანეთისთვის გადაცემას გამოცდილების გაზიარებისთვის, აგრეთვე ქალთა ორგანიზაციებთან კავშირს, რაც ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის ქალებს და ისინი მეტ უნარ-ჩვევებს შეიძენენ ICT-ის სფეროში.“

„მე მსურს რაც შეიძლება ჩქარა დავიწყოთ და მივიღოთ ყველა ქალის მხარდაჭერა, რადგანაც ეს ძალიან სასარგებლოა.“

„ყველა პროფესიული მოვალეობის შესრულება აუცილებლად უკავშირდება კომპიუტერის გამოყენებას, ინტერნეტს. მუშაობისა და კომუნიკაციის ახალი გზები წარმოუდგენელია გამოთვლითი, საინფორმაციო და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.“

ჩვენ შევეცადეთ უზრუნველგვეყო კვლევის შედეგების გამოყენება ქალების იმედების გასამართლებლად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოცემული კვლევა კიდევ ერთი საინფორმაციო წყარო იქნება საქართველოში ICT-სთან და გენდერთან დაკავშირებული სიტუაციის გასაგებად, ქალებისა და გოგონებისთვის ICT-ის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და ციფრული სოლიდარობისთვის გზების გაფართოების ახალი პროგრამების შესამუშავებლად.

მეთოდოლოგია

საქართველოში ICT-ის და ქალების მრავალდისციპლინარული კვლევა, რაც მოიცავს:

- ICT-ის ზემოქმედება ქალების განვითარებაზე;
- ICT-ის ხელმისაწვდომობა ქალებისა და გოგონებისათვის

საქართველოში და არსებული დაბრკოლებები და შეზღუდვები;

- ICT-ის ხელმისაწვდომობა სოფლად, საქართველოში;
- ICT-ის ზემოქმედება ქალების გაძლიერების პროცესში;
- ICT, როგორც ქალთა ორგანიზაციებისა და მოძრაობების სოლიდარობის ინსტრუმენტი;
- რეკომენდაციები უკეთესი პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის საქართველოში ქალებისა და გოგონებისთვის ICT-ის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სფეროში.

კვლევა მოიცავდა ორ განზომილებას:

- ემპირიულს – მონაცემთა კვლევასა და გადამუშავებას ზუსტი მაჩვენებლების მისაღებად, და იმის დასადგენად, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ICT ქალებისა და გოგონებისთვის საქართველოში.
- პოლიტიკურს – რეკომენდაციების შემუშავებას უკეთესი პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის, რათა ქალებსა და გოგონებს უფრო ფართოდ მიუწვდებოდეთ ხელი ინტერნეტზე. ა/ო-სთვის სტრატეგიების და რეკომენდაციების ჩათვლით, რომლებსაც პროპაგანდა უნდა გაეწიოს საქართველოში გადამწყვეტილების მიმღები პირების წინაშე. საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებებით შეიქმნას საინფორმაციო საზოგადოება საქართველოში. ასევე გათვალისწინებულ იქნას მოცემულ სფეროში ტექნიკური დახმარებისა და მოთხოვნილებების შეფასების საკითხები.

მარტივი კითხვარი, რომელიც გამოყენებული იყო ემპირიული გამოკვლევებისთვის, მოცემულია მე-2 დანართში.

ქალთა საექსპერტო ა/ო-ების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს 10 რეგიონში ფოკალურ პუნქტებს წარმოადგენენ, ხელს შეუწყობენ გამოკვლევას ინფორმაციით, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომი გახდა ყოველდღიური მუშაობის დროს. გამოკვლევა ჩატარდა ეროვნულ დონეზე.

არსებული ICT ინფრასტრუქტურა

საქართველოს აქვს თანამედროვე და კარგად ჩამოყალიბებული რადიო და სატელევიზიო-სამაუწყებლო ქსელი, რომელიც მოიცავს მთლიან რეგიონს, 17 რადიოსადგურს 2.4 მლნ მსმენელით, და 45 სატელევიზიო სადგურს, რომელთა აუდიტორია 3.6 მილიონ ადამიანს შეადგენს. თუმცა, ეს მედია არ გამოიყენება სოფლის მეურნეობასთან და სოფლად დანერგვის ინიციატივებთან დაკავშირებული ინფორმაციის გასავრცელებლად. პრაქტიკულად არ არსებობს ინსტიტუციონალური კავშირები ფერმერებთან სასოფლო-სამეურნეო დანერგვის სამსახურების მეშვეობით. მეტიც, საქართველოში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის საჯარო გავრცელების შემცირების საერთო ტენდენციას. ეს კარგად ჩანს თუ შევადარებთ სიტუაციას სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის გამოქვეყნების თვალსაზრისით 1970-1980-იან წლებსა (ჯამში 500-ზე მეტი პუბლიკაცია წელიწადში – მონოგრაფიების, სტატიების, პატენტის სპეციფიკაციების, ანგარიშების და დისერტაციების ჩათვლით) და 1990-იან წლებს შორის, როდესაც შესაბამისი მაჩვენებელი 50-მდე შემცირდა.

ფიქსირებული სატელეფონო ქსელი კარგადაა განვითარებული მთელს ქვეყანაში, თუმცა, საერთაშორისო ტარიფები ხშირად ძალიან მაღალია. ტელეფონის ხაზის გაყვანის პერიოდი დაახლოებით ერთ წელიწადს შეადგენს, არსებული ტექნოლოგიები მოძველებულია და ტექნომსახურება ძვირი ჯდება. მომსახურება ხდება ნელა, ხშირია ტექნიკური პრობლემები და ტექნომსახურების სტანდარტები დაბალია; ყოველივე ეს ფაქტორი ამცირებს ინტერნეტის მომსახურების პროვაიდერების სურვილს შექმნან მრავალარხიანი კავშირები და გლობალური ქსელები. საორაგნიზაციო დონეზე ადგილობრივი ქსელები ნელა იქმნება.


თუმცა, ინტერნეტი, ეროვნული ICT სტრატეგიის არსებითი კომპონენტი ძალზე სწრაფად ვითარდება. 2000 წელს საქართველოში გაიხსნა 250-ზე მეტი ვებ-სერვერი და 4000 ჰოსტინგი, 200-250 ადგილო-

ბრივი დომენით ქართულ ენაზე და 60 არა-ადგილობრივი დომენი. 2003 წლის ივნისში დომენების რიცხვმა 1129-ს მიაღწია. საქართველოს ინტერნეტის სექტორს მოიცავს 12 ინტერნეტ პროვაიდერი. ინტერნეტის კავშირების სამოცდაჩვიდმეტ (77%) პროცენტს უზრუნველყოფს ოთხი უდიდესი კომპანია: 52% – სანეტი (www.sanet.ge); 9% – ჯორჯია-ონლაინი (www.rustaviz.com) და 8-8% ICN (www.caucasus.net) და გლობალ-1 (www.global-erty.net).

ამჟამად საქართველოში დაახლოებით 150 000 პერსონალური კომპიუტერია 5.4 მლნ მოსახლეობაზე, მათგან 90%-ი შეიცავს ცენტრალურ პროცესორ პენტიუმ-ს. დარგების მიხედვით კომპიუტერების ხელმისაწვდომობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ პირველია განათლების სექტორი – 9000 კომპიუტერით, რასაც მოსდევს საბანკო სექტორი – 4800 კომპიუტერით, და ჯანადაცვის სექტორი – 1050 კომპიუტერით.

კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა ადგილობრივად არ იწარმოება. კომპიუტერული ტექნიკა უმთავრესად აზიიდან შემოაქვთ, ამის შედეგად ფასები მიუწვდომელია ადამიანების უმეტესობისთვის და კერძო ბიზნესის 40%-ს ფინანსური დაძაბულობა ექმნება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ისაა, რომ თანმხლები პროგრამული უზრუნველყოფა არაა ადაპტირებული ადგილობრივი პირობებისთვის და ადგილობრივ ენაზე ხელმისაწვდომია მხოლოდ საბუღალტრო და ფინანსური პროგრამები.

ICT ინფრასტრუქტურა და ხელმისაწვდომობა	1995	2000	2000	2000
სატელეფონო ხაზები 1000 ადამიანზე	102	139	222	23
დიდ ქალაქებში (1000 ადამიანზე)	174	233	449	117
მოსაცდელი სია (ათასები)	230	105	13617	8860
მოლოდინის დრო (წლები)		2.2	1.8	4.4
შემოსავალი ერთ ხაზზე (\$)	23	47	313	1.99
ადგილობრივი ზარის ღირებულება (\$ სამ წუთზე)	0.00		0.06	0.06
მობილური ტელეფონები (1000 ადამიანზე)	0	34	92	5
საერთაშორისო ტელეკომუნიკაცია				
გამავალი ტრაფიკი (წუთი ერთ აბონენტზე)	..	60	60	166
აშშ-ში დარეკვის ღირებულება (\$ 3 წუთზე)	..	2.88	2.94	
ყოველდღიური გაზეთები (1000 ადამიანზე)	..		102	41
რადიოების რაოდენობა (1000 ადამიანზე)	555	556	448	156
ტელევიზორების რაოდენობა (1000 ადამიანზე)	470	474	380	91
კომპიუტერები და ინტერნეტი	1995	2000	2000	2000
პერსონალური კომპიუტერები 1000 ადამიანზე	45.4	5.1
დაინსტალირებული განათლების სფეროში (ათასი)
ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერები (%)
ინტერნეტი				
მომხმარებლები (ათასი)	0.6	23.0	14640.3	9472.4
ყოველთვიური გადასახადი არა-პიკის საათებში				
მომსახურების პროვაიდერის გადასახადი (\$)	..	20.3 ^a	14.8 ^a	33.6 ^a
ტელეფონით სარგებლობის გადასახადი (\$)	..	0.00 ^a	0.37 ^a	0.36 ^a
ICT ხარჯები	1995	2001	2001	2001
სულ ICT, (მლნ. \$)
ICT, როგორც მშპ-ის %
ICT ერთ სულზე (\$)
ICT ბიზნესი და სამთავრობო გარემო	1995	2000	2000	2000
ქულები 1-დან 7-მდე; 7 ყველაზე საუკეთესოა
ინტერნეტის სიჩქარე და ხელმისაწვდომობა
ინტერნეტის ზემოქმედება ბიზნესზე
მაღალკვალიფიციური სთ დასაქმების ბაზარი
კონკურენცია ISP-ებს შორის
მთავრობის „ონლაინ“ მომსახურებების ხელმისაწვდომობა
ICT-ს გამოყენებასთან დაკავშირებული კანონები
უსაფრთხო მომსახურება		10 ^a	1694 ^a	279 ^a




წყაროები: ინფორმაცია ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესახებ: UNESCO და მსოფლიო ბანკი, ICT-ის ინფრასტრუქტურა და ხელმისაწვდომობა. ITU და UNESCO, კომპიუტერები და ინტერნეტი. ITU და WITSA, ICT-ის ხარჯები. WITSA, ICT ბიზნესი და სამთავრობო გარემო. მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის ანგარიში გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ, 2001-2002 წწ. იხ. განსაზღვრები და წყაროები უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად.

განვითარების მონაცემთა ჯგუფი, მსოფლიო ბანკი.

ICT-ის ტენდენციები ქვეყანაში


(1000 ადამიანზე)



წყარო: მსოფლიოს განვითარების ინდიკატორები, 2000 წ. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, მსოფლიო ბანკი, 2005 წ. UNOTAD-ის სტატისტიკის სახელმძღვანელო, 2004 წ. შენევა, UNOTAD, 2004 წ.

ICT-ის დიფუზური ინდექსი

გაანგარიშებული, როგორც შეერთებადობის, ხელმისაწვდომობისა და პოლიტიკის ქულების საშუალო მაჩვენებელი



წყარო: ICT-ის განვითარების ინდექსები, შენევა, UNOTAD, 2004 წ.

ქვეყანაში ICT-ის ხელმისაწვდომობის ინდიკატორები

პოლიტიკა

ინტერნეტის მომხმარებლები 1000 მცხოვრებზე 2002 წ (1)	15
წერა-კითხვის ცოდნის მაჩვენებლების შემოწმება 2005 წ. ბოლო (2)	...
ფიქსირებული ხაზიდან 3-წუთიანი საუბრის ღირებულება (აშშ დოლარი) 2002 (3)	0.027
მშპ ერთ სულზე, (მიმდინარე, საერთაშორისო, აშშ დოლარი) 2002 (4)	2255

წყარო:

- (1) UNOTAD-ის სტატისტიკის სახელმძღვანელო, 2004 წ. შენევა, UNOTAD, 2004 წ.
- (2) მსოფლიო ჯანდაცვის სტატისტიკა, 2005, შენევა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2005 წ.
- (3) UNOTAD-ის სტატისტიკის სახელმძღვანელო, 2004 წ. შენევა, თ, 2004 წ.
- (4) მსოფლიოს განვითარების ინდიკატორები, 2000 წ. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, მსოფლიო ბანკი, 2005 წ.

ICT-ის ზამოყენება

ინტერნეტის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი დაბალია და ინტერნეტის რეგულარული მომხმარებლების რაოდენობა მოსახლეობის მხოლოდ 4%-ს შეადგენს. საზოგადოებისთვის ინტერნეტი ხელმისაწვდომია ზოგიერთ ბიბლიოთეკაში, ინტერნეტ-კაფეებსა და ინტერნეტ-კლუბებში. ინტერნეტი ხელმისაწვდომი არაა იმ ადამიანების უმეტესობისთვის, რომლებსაც მცირე ბიზნესი აქვთ. როდესაც ტელეფონებითა და ფაქსებით სარგებლობენ ბიზნესის უმეტეს შემთხვევაში, ჩვეულებრივ, საქმიან კავშირს ამყარებენ და ამ კავშირს ინარჩუნებენ პირადი კონტაქტების მეშვეობით, ელექტრონული წერილები კი გამოიყენება უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისთვის, რადგანაც სატელეფონო ტარიფები ძალზე მაღალია. საბუღალტრო ოპერაციების ოთხმოდეთი პროცენტი სამთავრობო და ბიზნეს ორგანიზაციებში ინარჩუნება კომპიუტერებით, ნაწილობრივ იმ ფაქტის გამო, რომ ეს ერთადერთი პროგრამული პაკეტია ქართულ ენაზე.

თითქმის ყველა სამთავრობო ოფისსა და მსხვილ ბიზნესში სარგებლობენ კომპიუტერებით. კომპიუტერების სრული ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტებში შემოიფარგლება შტატის წევრებით, ხოლო კომპიუტერზე მუშაობის სწავლება და კომპიუტერული განათლება მხოლოდ ახლახანს შემოიღეს. ამდენად, მასწავლებლებმა კომპიუტერზე მუშაობა მხოლოდ ელემენტარულ დონეზე იციან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი ატარებს კომპიუტერული პროგრამირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ კურსებს. რამდენიმე კერძო სკოლა, დონორები და კომერციული ორგანიზაციები ასევე სთავაზობენ კომპიუტერულ ტრენინგებსა და განათლებას. არსებობს დაახლოებით 30 ორგანიზაცია, უმეტესად კონცენტრირებული თბილისში, რომლებიც სპეციალიზებულია კომპიუტერულ მომსახურებაზე, ტრენინგებსა და განათლებაზე.

დიაგრამა II ციფრული ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი

საქართველო მიეკუთვნება ქვეყნების ჯგუფს, საშუალო ხელმისაწვდომობით

ბელორუსია	0.49
ლიბანი	0.48
ტაილანდი	0.48
რუმინეთი	0.48
თურქეთი	0.48
მაკედონია	0.48
პანამა	0.47
ვენესუელა	0.47
ბელიზი	0.47
სენ-ვინსენტი	0.46
ბოსნია	0.46
სურინამი	0.46
სამხრეთ აფრიკა	0.45
კოლუმბია	0.45
იორდანია	0.45
სერბია და მონტენეგრო	0.45
საუდის არაბეთი	0.44
პერუ	0.44
ჩინეთი	0.43
ფიჯი	0.43
ბოცვანა	0.43
ირანი	0.43
უკრაინა	0.43
გაიანა	0.43
ფილიპინები	0.43
ომანი	0.43
მალდივები	0.43
ლიბია	0.42
დომინიკელთა რესპუბლიკა	0.42

ინტერნეტის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი დაბალია და ინტერნეტის რეგულარული მომხმარებლების რაოდენობა მოსახლეობის მხოლოდ 4%-ს შეადგენს.

	ტუნისი	0.41
	ეკვადორი	0.41
	ყაზახეთი	0.41
	ეგვიპტე	0.40
	კაპე ვერდე	0.39
	ალბანეთი	0.39
	პარაგვაი	0.39
საერთაშორისო ინფორმაციის ხელმიწვდომობას უმთავრესად ხელს უშლის ადექვატური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის არარსებობა და უცხო ენისა და კომპიუტერზე მუშაობის მცოდნე პერსონალის ნაკლებობა.	ნამიბია	0.39
	გვატემალა	0.38
	ელ-სალვადორი	0.38
	პალესტინა	0.38
	შრი-ლანკა	0.38
	ბოლივია	0.38
	კუბა	0.38
	სამოა	0.37
	ალჟირი	0.37
	თურქმენეთი	0.37
	საქართველო	0.37
საერთაშორისო გამომცემლობებთან კონტაქტების ნაკლებობა ასევე ართულებს საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ხელმისაწვდომობას.	სვაზილენდი	0.37
	მოლდოვა	0.37
	მონღოლეთი	0.35
	ინდონეზია	0.34
	გაბონი	0.34
	მაროკო	0.33
	ინდოეთი	0.32
	ყირგიზეთი	0.32
	უზბეკეთი	0.31
	ვიეტნამი	0.31
	სომხეთი	0.30

ICT ინსტიტუციონალური დონეზე

ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურა (აპარატურული უზრუნველყოფა, პროგრამული უზრუნველყოფა, უნარ-ჩვევები) დეტალურადაა აღწერილი სრული ანგარიშის 2-8 ცხრილებში. სექტორის დაწესებულებების უმეტესობას არ გააჩნია ადექვატური ტელესაკომუნიკაციო და კომპიუტერული საშუალებები. ამის შედეგად ეს ინსტიტუტები მკვლევარებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მოძველებულ, მწირ ან ძნელად ხელმისაწვდომ ინფორმაციას აწვდიან.

ბიბლიოთეკების უმეტესობას აღნიშნულ დაწესებულებებში, აგრეთვე საჯარო ბიბლიოთეკებს, არ გააჩნიათ თანამედროვე საინფორმაციო წყაროები და სადაც ისინი აქვთ, ხელმისაწვდომობა დაბალია ეფექტური პროცედურებისა და საკომუნიკაციო საშუალებების არარსებობის გამო. სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის მინაცემთა ბაზები, რომლებიც არის ბიბლიოთეკებსა და/ან საინფორმაციო განყოფილებებში, მოძველებულია. ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი ქაღალდზეა, ხოლო ის ინფორმაცია, რომელიც ელექტრონულადაა ხელმისაწვდომი, დაბალი ხარისხისაა და მასთან მუშაობა მხოლოდ სპეციალურად დანიშნულ თანამშრომლებს შეუძლიათ. ასევე არ არსებობს ბიბლიოთეკებს შორის დროებით სარგებლობაში გადაცემის (თხოვების) პროცედურები.

კვლევების მონაცემები არაა ორგანიზებული ელექტრონულად, კვლევით ინსტიტუტებს შორის გასავრცელებლად. ICT-ის ინფრასტრუქტურა სუსტადაა განვითარებული და არსებული კვლევის მონაცემები არაა სათანადოდ დახარისხებული და სტანდარტიზირებული. ინსტიტუტებს შორის და ინსტიტუტის განყოფილებებს შორის ასეთი მონაცემების მოძრაობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება მოძველებული პროცედურები. მონაცემთა მენეჯმენტს, როგორცაა სტანდარტიზაცია, შენახვა, გადაცემა და გამოყენება, არ ეთმობა სათანადო ყურადღება კვლევების ელექტრონული მონაცემების ნაკლებობის გამო. არსებული ჩანაწერები ხელმისაწვ-

დომია ქალაღდზე, ამასთან, ისინი არაა მოცემული სტანდარტულ ფორმატში. ძირითად დაბრკოლებებს შორისაა სათანადო აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის, კვალიფიცირებული ადამიანური რესურსების ნაკლებობა, კვლევის პრიორიტეტების არარსებობა.

საერთაშორისო ინფორმაციის ხელმიუწვდომობას უმთავრესად ხელს უშლის ადექვატური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის არარსებობა და უცხო ენისა და კომპიუტერზე მუშაობის მცოდნე პერსონალის ნაკლებობა. საერთაშორისო გამომცემლობებთან კონტაქტების ნაკლებობა ასევე ართულებს საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. არ არის დამყარებული ურთიერთობები საერთაშორისო ბიბლიოთეკებთან უცხო ენის მცოდნე პერსონალის ნაკლებობისა და დაფინანსების სიმწირის გამო.

თითქმის ყველა ინსტიტუტსა და ბიბლიოთეკას, რომლებიც ამ გამოკვლევაში შევიდა და რომლებიც ჩამოთვლილია ზემოთ, სჭირდება გაუმჯობესება ტელეკომუნიკაციის სფეროში და ინტერნეტში ჩართული მეტი კომპიუტერები (იხ. ცხრილი 2). ამ საჭიროების მიზეზია სამეცნიერო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სასოფლო-სამეურნეო დანერგვა-გავრცელების მომსახურების უზრუნველყოფა, ახალი სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციისა და ცოდნის გამომუშავება.

ICT-თან დაკავშირებული პოლიტიკა და ცოდნის გადაცემის შესაძლებლობები

ორი უმთავრესი დაკვირვება:

პირველი, ქალებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების შესწავლამ უჩვენა, რომ სირთულეები ძალზე ბევრია ყველა სფეროში: ქვეყანაში ქსელის შექმნის ნელი ტემპი, ორგანიზაციებს შორის ICT ინფრასტრუქტურის შესაქმნელად თანამშრომლობის არარსებობა, პერსონალის მიერ ენის ცოდნისა და კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევების სისუსტე, კომპიუტერების ნაკლებობა, მოძველებული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები და პოლიტიკური ნების არარსებობა.

მეორე, ეროვნული ქსელის შექმნის ნელ ტემპსა და ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობას ყველა ინსტიტუტი აღნიშნავს, როგორც ძირითად სირთულეს, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გადალახული დაუყოვნებლივ. ამ სირთულეებზე ხაზგასმა შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ინფორმაციის გაზიარების სურვილი. დამოკიდებულების ამგვარად შეცვლა აუცილებელია იმისათვის, რომ განვითარდეს ექსპერტების, ორგანიზაციების ქსელები და საზოგადოებასა და კერძო ორგანიზაციებს შორის პარტნიორული ურთიერთობები. ამჟამად ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლა თითქმის არ ხდება, კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობის, აგრეთვე ისეთი შუამავალი ორგანიზაციების არარსებობის გამო, რომლებიც ხელს შეუწყობდა ორგანიზაციებს შორის კავშირის დამყარებას. ეს საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა და (ადგილობრივმა და/ან საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციებმა აქტივობა გამოიჩინონ ამ სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ცდილობს განახორციელოს მისი ICT სტრატეგია პოლიტიკურ დონეზე, დაფინანსება მაინც არ ხდება, რაც ნიშნავს, რომ რეალურად სიტუაცია ნაკლებად იცვლება

უკეთესისკენ. აუცილებელია სექტორული სამოქმედო გეგმების შემუშავება იმისათვის, რომ ეს სტრატეგია რეალურად განხორციელდეს და არ შემცირდეს დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსების სურვილი, აგრეთვე არ შემცირდეს ICT-ის სფეროში ინვესტირების სურვილი კერძო სექტორის მხრიდან. აუცილებელია საჯარო ორგანიზაციებს, კერძო ფირმებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მომხმარებლებს, ფერმერებსა და საგარეო დახმარების ორგანიზაციებს შორის საერთო მიზნით სიღარიბის დაძლევისთვის პარტნიორობებისა და კოალიციების შექმნის ხელშეწყობა.

საჯარო და კერძო სექტორებმა უნდა ითანამშრომლონ რათა შეიქმნას მაღალკვალიფიციური მუშახელი იმისათვის, რომ საზოგადოების ორივე ნაწილმა მიაღწიოს კეთილდღეობას. ასეთი თანამშრომლობის ელემენტები ხელმისაწვდომი გახდა კერძო კომპანიის მხარდაჭერით საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში უმაღლესი განათლების კურსებისა და პერსონალის ტრენინგების ჩატარების სახით. მთავრობას შეუძლია კიდევ უფრო დააჩქაროს კვალიფიცირებული მუშახელის შექმნა ისეთი ეკონომიკური ინიციატივების მეშვეობით, რომელიც ხელს შეუწყობდა კერძო ინვესტიციებს, სახელდობრ – საგადასახადო შეღავათებს ICT-სთან დაკავშირებული განათლებისთვის.

ახლად შექმნილ სამთავრობო ერთეულებსაც სჭირდება პოლიტიკისა და გადწყვეტილებების მიღების შესაძლებლობების გაუმჯობესება, პოლიტიკის ინსტრუმენტების ურთიერთდამოკიდებულების უფრო ნათლად გაგების გზით: მაგ. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტურ სისტემას შეუძლია მოიზიდოს ინვესტიციები, თუ ამას არ კრძალავს კომერციის წესები.

იურიდიული რეგულირება და გამოსატვის თავისუფლება

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში სამართლებრივ სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმა ჩატარდა. ის მოიცავდა სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ძირეულ რეფორმირებას და მოიცავდა კონტინენტურ-ევროპული იურისპრუდენციის და საერთო სამართლის სისტემების მრავალი პრინციპის შემოღებას. ის ასევე მოიცავდა კანონის შესაბამისობაში მოყვანას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან, სახელდობრ, ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციასთან. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საერთო ადმინისტრაციული კოდექსი შეიცავს თავს – ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო სააგენტოების მიერ საჯარო ინფორმაციის მინოდებასთან დაკავშირებულ წესებს და ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მოიცავს მრავალ შესაბამის პრინციპს ევროპისა და შეერთებული შტატების ანალოგიური კანონმდებლობიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად მიმდინარეობს პროცედურული კანონმდებლობის რეფორმირება და რეფორმა კონცენტრირებულია კონტინენტურ-ევროპული კანონმდებლობისა და საერთო სამართლის პრინციპების შეთავსებაზე, რაც გულისხმობს ტრადიციულ საერთო სამართალში ისეთი ელემენტების შემოღებას, როგორცაა ჟიურის სასამართლო, განაჩენის ეტაპი, დადასტურების პროცედურები და ა. შ.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია 1995 წელს, როგორც სახელმწიფოს უზენაესი კანონი. კონსტიტუციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს კანონმდებლობის იერარქიას და აგრეთვე უზრუნველყოფს, რომ ყველა სხვა კანონი შეესაბამებოდეს კონსტიტუციის

დებულებებს. ქვემოთ მოყვანილია საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქია, რომელიც გათვალისწინებულია ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-19 მუხლით:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია
- ბ) კონსტიტუციური შეთანხმება
- გ) კონტრაქტის შესახებ საქართველოს საერთაშორისო შეთანხმება
- დ) საქართველოს ორგანული კანონი
- ე) საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, პრეზიდენტის ბრძანებულება
- ვ) პრეზიდენტის ბრძანებულება
- ზ) პარლამენტის გადაწყვეტილება, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება
- თ) ყველა სხვა კანონქვემდებარე აქტები, როგორებიცაა მინისტრის ბრძანება, კონტროლის პალატის გადაწყვეტილება და ა. შ. 166

გარდა ამისა, კონსტიტუცია მოითხოვს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამებოდეს მიღებულ საერთაშორისო ნორმებსა და პრინციპებს. ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კონსტიტუციის დებულება, რომელიც ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო „აღიარებს და იცავს საყოველთაოდ მიღებულ ადამიანის უფლებებს, როგორც მუდმივ და უზენაეს ჰუმანურ ფასეულობას“. ეს დებულება საქართველოს აქცევს მონისტიკურ სამართლებრივ სისტემად, ე. ი. სისტემად, რომელშიც მიღებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საერთაშორისო პრინციპები და შეიძლება უშუალოდ განხორციელდეს სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე, ადგილობრივ კანონმდებლობაში მათი ადაპტაციის გარეშე.

კანონმდებლობა, რომელიც შეეხება ინტერნეტის რეგულირებას

დღემდე, საქართველო შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურ ქვეყანად ჩათვლილიყო, ინტერნეტის რეგულირების თვალსაზრისით. უკანასკნელი საკანონმდებლო წინადადებების გაანალიზებამდე, რომლებიც ავტორის აზრით წარმოადგენს ინტერნეტში გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვას, აზრი აქვს ინტერნეტით სარგებლობის რეგულირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის განხილვას. კანონმდებლობა შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: კანონმდებლობა, რომელიც შეეხება ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერებს (ISP), კანონები და ნორმატივები, რომლებიც შეეხება ინტერნეტის შინაარსს და კანონმდებლობა, რომელიც უკავშირდება კიბერ-დანაშაულს და შესაბამის სასჯელს.

კანონმდებლობა, რომელიც უკავშირდება ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერებს

საქართველოში ინტერნეტის მომსახურებას არეგულირებს საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ 2005 წლის 2 ივნისს. კანონი უზრუნველყოფს საკანონმდებლო ბაზას საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული მომსახურების განვითარების. ის ასევე არეგულირებს საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების ნებართვებისა და ლიცენზირების სფეროში. კანონი ითვალისწინებს, რომ ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ. ამას უზრუნველყოფს კომისია, რომელიც აწარმოებს რეესტრს. ნებართვის მისაღებად საწარმო მიმართავს კომისიას განცხადებით, რომელსაც კომისია ამტკიცებს. განაცხადში უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოს იურიდიული სტატუსის შესახებ, აგრეთვე იმ მომსახურების მოკლე აღწერა, რომლის განე-

ვასაც ვარაუდობენ. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ უნდა დასტურდებოდეს სამენარმეო რეესტრის მიერ გაცემული ოფიციალური ცნობებით. უნდა აღინიშნოს, რომ კანონში არაა გათვალისწინებული რაიმე განსხვავებები კომერციული და არაკომერციული სანარმოებისთვის და ორივე სახის სანარმოებს შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების განწევაზე. კომისიას აქვს ყველა იმ სანარმოს მონაცემთა ბაზა, რომლებსაც მიეცათ მომსახურების განწევის ნებართვა და ჩანაწერები ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. განაცხადის მიღებიდან ათი დღის ვადაში კომისია გასცემს ნებართვას და შეაქვს შესაბამისი მონაცემები განმცხადებლის შესახებ საჯარო რეესტრში. ნებართვის გაცემიდან შვიდი დღის ვადაში განმცხადებელს გადასცემენ ნებართვის სერთიფიკატს.

კანონში გათვალისწინებულია მთელი რიგი მოვალეობები, რომლებიც დაეკისრება სავარაუდო პროვაიდერს, მათ შორის, მომხმარებლებს შორის დისკრიმინაციის გამორიცხვა, ფინანსური ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, აგრეთვე მონოპოლიების აკრძალვა. უნდა აღინიშნოს პირობები, რომელთა შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია სანქციები დააკისროს პროვაიდერს.

კანონი ხაზს უსვამს, რომ კომისია ახორციელებს კანონის შესრულებისა და ნორმატივების დაცვის მონიტორინგს. უნდა აღინიშნოს, რომ კომისია უფლებამოსილია მხოლოდ დააჯარიმოს პროვაიდერები. ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს დარღვევის ხასიათი და ხანგრძლივობა.

მას არ გააჩნია უფლებამოსილება გააუქმოს ნებართვა ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი პროვაიდერის მუშაობას. ზღვარი ნამდვილად მისაღებია ინტერნეტის მომსახურების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რამდენადაც კანონი არ უზრუნველყოფს კომისიისთვის ISP-ის საქმიანობის შეჩერების ან სხვაგვარად შეფერხების მექანიზმებს.

ინტერნეტის შინაარსთან დაკავშირებული ნორმატივები

საქართველოში მოქმედებს გარკვეული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების შინაარსს: საქართველოს კანონი, მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, მიღებულია პარლამენტის მიერ 2001 წ. 28 სექტემბერს; კანონი პრესისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ მიღებულია პარლამენტის მიერ 2004 წ. 24 ივნისს, და კანონი ინტელექტუალური საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ მიღებულია 1999 წ. 22 ივნისს.

მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონი ითვალისწინებს ბავშვების დაცვას ვიდეო და ბეჭდვითი პროდუქციის დათვალიერებისგან, ალკოჰოლური და თამბაქოს პროდუქტების მოხმარებისგან და აზარტული თამაშებისგან. ინტერნეტში არსებული ვიდეო და გრაფიკული მასალების სიმრავლის პირობებში, მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების შესწავლა. მართალია ის კრძალავს ბავშვებისთვის ისეთი ვიდეოპროდუქციის დემონსტრირებას, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ჯანმრთელობაზე, გონებრივ და ემოციურ განვითარებაზე. კანონი უმთავრესად კონცენტრირებულია ასეთი მასალების იდენტიფიკაციაზე რეგულარულ მაუწყებლობაში და ითვალისწინებს კონკრეტულ მოთხოვნებს გარკვეული მასალების შემცველი ფილმების ეთერში გაშვების დროსთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, კანონი არ ითვალისწინებს ინფორმაციის გადაცემის თანამედროვე მეთოდებს, მათ შორის ინტერნეტს. ამიტომ, ინტერნეტის მეშვეობით მავნე შინაარსის მქონე მასალების გადაცემა სრულიად არაა გათვალისწინებული ამ კანონში. იგივე შეეხება საკმაოდ გავრცელებულ აზარტულ თამაშებს ინტერნეტში, რაც აბსოლუტურად არ ექვემდებარება რეგულირებას. გარკვეულწილად ეს გასაგებია, რადგანაც ამ კანონის მიღებისას (2001 წ.) ინტერნეტი ჯერ კიდევ არ იყო კომუნიკაციის ფართოდ გავრცელებული საშუალება. თუმცა, საქართველოში ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობის თანდათანობითი ზრდის პირობებში აუცილებელია

ამ ასპექტების რეგულირება, ფართოდ მიღებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი შეეხება გამოხატვის თავისუფლებას. მასში ნათქვამია, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით [...]“. ამას გარდა, მასში მოცემულია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები: „[...] 1 და 2 პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თავიდან ასაცილებლად.“ შემდგომ, 17(1) პუნქტში აღნიშნულია: „ადამიანის ღირსება და პატივი ხელშეუვალია.“, ხოლო 23-ე მუხლი იცავს ინტელექტუალური შემოქმედებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

საქართველოს კანონი პრესისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ ასახავს კონსტიტუციის ზემოთ აღნიშნულ დებულებებს. საინტერესოა, რომ კანონში სპეციალურადაა აღნიშნული, რომ ის შეეხება ინტერნეტსაც და განსაზღვრავს: „მედიას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებას, ინტერნეტის ჩათვლით.“

კანონი დიდ ყურადღებას უთმობს ცილისწამებას და მაინც, დებულებები არაა მკაფიოდ განსაზღვრული იმისათვის, რომ იფუნქციონიროს სრულ რეჟიმში განზრახ ცრუ ჩვენების წინააღმდეგ. მე-19 მუხლში გამოთქმულია მითითებები, რომლებიც შეეხება კანონის მე-8 მუხლის პროექტს, ამჟამად მე-9 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს შინაარსის რეგულირებას ცხრა კონკრეტულ სფეროში, რამდენიმე არგუმენტის, მათ შორის, გან-

საზღვრათა ბუნდოვანების საფუძველზე. ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობა ინტერნეტში ასევე მნიშვნელოვანი საკითხია. საქართველოს კანონი ინტელექტუალური საკუთრების და შესაბამისი უფლებების შესახებ იცავს სამეცნიერო ნაშრომებს, ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოებებს, აუდიო და ვიდეო მასალებს და მონაცემთა ბაზებს, რომლებიც წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეების საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირების და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების საკუთრებას. ამის გარდა, ის ითვალისწინებს იმ ნაშრომების დაცვას, რომლებიც პირველად შეიქმნა ან გამოქვეყნდა საქართველოში. 184 უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალური საკუთრება თავდაპირველად გათვალისწინებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 25 ნოემბერს, თუმცა, მომდევნო ეტაპებზე ის გამოეყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსს და მიღებულ იქნა, როგორც ცალკე კანონი. ამ კანონის დებულებები მიღებულია WIPO-ის მიერ უზრუნველყოფილი სამოდულო კანონმდებლობიდან და შეესაბამება მსოფლიო სავაჭრო ხელშეკრულების კომერციასთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების შესახებ დებულებებს. სამწუხაროდ, ამ კანონიდან არც ერთში არაა რაიმე კონკრეტული დებულებები ინტერნეტის შესახებ. თუმცა, მოცემულია დაცული მასალების „გამოქვეყნების“ ფართო განსაზღვრა, რომელიც მოიცავს მასალების გამოქვეყნებას „სხვა საშუალებებით“, ეთერში ან კაბელის მეშვეობით გამოქვეყნების გარდა. ამდენად, მართალია კანონი არ არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებას ინტერნეტში, მაგრამ ის დაცვის სრულ შესაძლებლობას იძლევა და არ იზღუდება კონკრეტული მედიის საშუალებებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ინტერნეტით სარგებლობის შესახებ

საქართველოს სისხლის სამართლის კანონის 35-ე თავი შეეხება კომპიუტერულ დანაშაულს. 284-ე მუხლის მიხედვით, კომპიუტერული ინფორმაციის უკანონოდ მიღება სისხლის სამართლის დანა-

შაულს წარმოადგენს. ის შეეხება ინფორმაციას, რომელიც ინახება კომპიუტერში, სისტემასა თუ ქსელში, რომელსაც იცავს კანონი და აცხადებს, რომ ასეთი ქმედება ისჯება, თუ მის შედეგად ადგილი ჰქონდა ინფორმაციის განადგურებას, დაბლოკვას, შეცვლას ან მის მიღებას, ასევე კომპიუტერული სისტემის ან ქსელის დაზიანებას. ასეთი ქმედება ისჯება ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

კოდექსის 285-ე მუხლი შეეხება ისეთი პროგრამების შექმნას, გამოყენებასა და გავრცელებას, რომლებიც აზიანებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. ამ დანაშაულის აუცილებელი ელემენტია ქმედების შეგნებულად ჩადენა.

286-ე მუხლი აცხადებს, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული დარღვევები ისჯება. თუმცა, ის ითვალისწინებს, რომ პირს ჰქონდა ნებართვა გამოეყენებინა კომპიუტერი, კომპიუტერული სისტემა ან ქსელი, ხოლო დანაშაულის შედეგად მოხდა კანონით დაცული ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან გამრავლება, ან რაიმე სხვა მძიმე შედეგები.

კიბერ-ტერორიზმის დანაშაული ცალკეა გათვალისწინებული სხვა ტერორისტულ დანაშაულებთან ერთად და განისაზღვრება, როგორც „კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის არალეგალურად მიღება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის და ხელყოფს საზოგადოების უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესებს და ჩადენილია მოსახლეობაზე ძალდატანების და/ან სახელმწიფო სააგენტოზე ზემოქმედების მიზნით.“ მუხლი 324(1), რომელიც განსაზღვრავს კიბერ-ტერორიზმს, ახლახანს დაემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს. ასეთი დანაშაული ისჯება 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. იგივე ქმედება, რომელსაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან რაიმე სხვა მძიმე შედეგები, ისჯება 10-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან სამუდამო პატიმრობით.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კანონმდებლობა მცირედ შეიცვალა მისი მიღების შემდეგ. შეცვლილია მხოლოდ რამდენიმე

მუხლით გათვალისწინებული ზომები, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქციების საერთო რეფორმასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამის გარდა, ამ მუხლების გამოყენების შემთხვევები იმდენად იშვიათია და ნაკლებადაა ცნობილი, რომ რთულია ვიმსჯელოთ მათი ფორმულირების ხარისხზე ან მათი შეცვლის საჭიროებაზე.

განხილვის ინიციატივები და გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვა ინტერნეტში

ეს დებულება ამჟამად განიხილება საქართველოს მასმედიის პროფესიონალებისა და მაუწყებლების მოქმედების კოდექსის ფარგლებში, რომელიც უნდა მიიღოს საქართველოს კომუნიკაციის მარეგულირებელმა კომისიამ.

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ მიღებულია 2004 წ. 23 დეკემბერს პარლამენტის მიერ და უფლებას აძლევს კომუნიკაციის მარეგულირებელ კომისიას მიიღოს მოქმედების კოდექსი მაუწყებლებისთვის. ნორმატიული აქტი, რომელიც მიიღო კომისიამ განსაზღვრავს ლიცენზიის მქონეთა მოქმედების წესებს. “ მისი მიღება უნდა მოხდეს მაუწყებლებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე. ამ კოდექსის მიღების თავდაპირველი ვადა 2006 წ. 31 დეკემბერი, გადაიდო 2007 წ. 1 ივნისამდე საქართველოს პრეზიდენტის მიერ 28 მარტს. ეს ბოლო ვადა ერთხელ უკვე გადაიდო 2007 წ. 1 აპრილამდე, რადგანაც მაუწყებლებმა მოითხოვეს მეტი დრო კოდექსის განსახილველად და მათი წინადადებების შესატანად.

მისი მიღების შემდეგ მოქალაქეებს შეეძლებათ შეიტანონ საჩივარი კომისიაში ამ კოდექსის ნებისმიერ დარღვევასთან დაკავშირებით. თუ დარღვევა დაფიქსირდება, შესაბამის მაუწყებელს მოეთხოვება გადასცეს კომისიის მიერ მიღებული შედეგები ხუთი დღის ვადაში, კომისიას ასევე შესაძლებლობა ექნება ჩაატაროს საკუთარი მოკვლევა, რის შედეგადაც შეიძლება დააკისროს ჯარიმა, შეაჩეროს ან გააუქმოს ლიცენზია.

და ბოლოს, მაუწყებლებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ წლიური ანგარიში კოდექსთან შესაბამისობის შესახებ. 194

ერთი შეხედვით, მაუწყებლებისთვის მოქმედების კოდექსს ცოტა რამ აქვს საერთო ამ დოკუმენტის განხილვის საგანთან, თუმცა, კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტში შედის რამდენიმე დებულება, რომლებსაც უნდა დაეთმოს ყურადღება და ავტორის აზრით, ეს დებულებები წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ინტერნეტში. პროექტი ცდილობს დაარეგულიროს მაუწყებლების ვებსაიტების შინაარსი. მაგალითად, ის მოითხოვს: „იმ ვებსაიტების შინაარსი, რომელიც მრავალ ბავშვს იზიდავს შეესაბამებოდეს აუდიტორიას და მის მოლოდინს.“

პროექტის 37-ე მუხლი შეეხება ინტერნეტ ფორუმებს. თავდაპირველად პროექტი ითვალისწინებს მაუწყებლების უფლებას, მოაწყონ და შეინარჩუნონ ინტერნეტ-ფორუმები. თუმცა, ამგვარი ყოველმხრივი რეგულირება ამ სფეროში კითხვის ნიშნის ქვეშაა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა საზოგადოდ შეიცავს დებულებებს ცილისწამებისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ, ნებისმიერ მედიაში.

აქ არა გვაქვს საშუალება დეტალურად გავაანალიზოთ დებულება, თუმცა, რამდენიმე შენიშვნა საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ასეთი რეგულირება საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლებას ინტერნეტში და არ უნდა მოხდეს მისი ხმარდაჭერა:

მაგალითად, მუხლი 37(5) „პოლიტიკურად თუ სხვაგვარად მწვავე საკითხების შერბილება უნდა მოხდეს მათი გამოჩენის მომენტიდან ერთი საათის ვადაში. თავი უნდა ავარიდოთ ღია ფორუმებს პოლიტიკურად, თუ სხვაგვარად მწვავე საკითხების თაობაზე,“ ან „ფორუმებზე განსახილველი თემების შერჩევა უნდა მოხდეს ობიექტური და გამჭვირვალე სარედაქციო კრიტერიუმების მიხედვით. დაცული უნდა იყოს სამართლიანობისა და პატიოსნების პრინციპები და არ უნდა დაირღვეს ბალანსი გამოქვეყნებულ მოსაზრებებს შორის.“

ამგვარად, ეს მუხლი მიუღებელია ორი თვალსაზრისით: ერთის მხრივ, ზედმეტი რეგულირება ამ საქმიანობაში ნაკლებად სასურ-

ველს ხდის მოქმედებას ამ ფორუმების შენარჩუნებაში დაინტერესებული პირებისთვის და წარმოადგენს კომისიის მხრიდან ხშირი ჩარევის საფუძველს, მეორეს მხრივ, ის ეყრდნობა ბუნდოვან და ზოგად პრინციპებს, რომელთა ობიექტურად შეფასება შეუძლებელია და რომლებიც შეიძლება გახდეს მაუნყებლის საქმიანობაში სანქციების მეშვეობით არაკეთილსინდისიერი ჩარევის საფუძველი.

მე-19 მუხლში ასევე გაკრიტიკებულია ლიცენზიის მფლობელების ვებსაიტების შინაარსის რეგულირების მცდელობა, სადაც ერთმანეთისგან გამიჯნულია მაუნყებლობის რეგულირება და ინტერნეტის რეგულირება. 197 ამდენად, ორგანიზაცია რეკომენდაციას უწევს კოდექსიდან ყველა იმ მუხლის ამოღებას, რომლებიც უკავშირდება ლიცენზიის მფლობელების ვებსაიტების მუშაობას. 198 სამწუხაროდ, ამ რეკომენდაციის დაწერის დროს ის არ იქნა გათვალისწინებული.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინტერნეტის რეგულირების დონე დამაკმაყოფილებელია. საზოგადოდ ის შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობა კვლავ შეიცავს დებულებებსა და მექანიზმებს, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ცუდადაა განსაზღვრული და ზოგჯერ საშუალებას იძლევა უკანონოდ შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში. ამიტომ საჭიროა გვახსოვდეს, რომ კანონმდებლობის სრულყოფა უწყვეტი და რთული ამოცანაა, განსაკუთრებით ისეთი სწრაფად განვითარებადი საშუალებისთვის, როგორცაა ინტერნეტი.

ზემოქმედება სამოქალაქო საზოგადოებაზე

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) ძლიერ ზემოქმედებას ახდენს კონკურენტუნარიანობაზე და ახდენს კონკურენტუნარიანობაზე და ცხოვრების ყველა ასპექტზე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, და სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე მათი პოტენციური ზემოქმედების უარყოფა შეუძლებელია. პოლიტიკოსები და ბიზნეს ლიდერები სულ უფრო და უფრო მეტად სცნობენ ICT-ის პოტენციალის გამოყენების აუცილებლობას განვითარების, მწარმოებლობის ამაღლებისა და ზრდის დაჩქარებისთვის, ეკონომიკის ყველა სექტორში.

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) ძლიერ ზემოქმედებას ახდენს კონკურენტუნარიანობაზე და ცხოვრების ყველა ასპექტზე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე მათი პოტენციური ზემოქმედების უარყოფა შეუძლებელია. პოლიტიკოსები და ბიზნეს ლიდერები სულ უფრო და უფრო მეტად სცნობენ ICT-ის პოტენციალის გამოყენების აუცილებლობას განვითარების, მწარმოებლობის ამაღლებისა და ზრდის დაჩქარებისთვის, ეკონომიკის ყველა სექტორში.

განვითარების ან ელექტრონული განვითარებისთვის ICT-ის გამოყენება საერთო ეროვნული განვითარების და კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება. ყველა ძირითადი საერთაშორისო დონორი, ფინანსური და განვითარების დაწესებულება, როგორებიცაა გაერო, მსოფლიო ბანკი და მრავალი სხვა, ქმნის მხარდაჭერ პროგრამებსა და ინტერვენციებს. დღევანდელ ციფრულ ეპოქაში განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაციას გლობალურად კონკურენტუნარიან და ცოდნის გამოყენების ეკონომიკას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ჩემი პრეზენტაციის საგანია საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და მათი ზემოქმედება სამოქალაქო საზოგადოებაზე. უპირველეს ყოვლისა, მსურს წარმოგიდგინოთ ჩემი ქვეყანა. საქართველო (ან ზოგჯერ, იმისათვის, რომ არ აგერიოთ შეერთებული შტატების ჯორჯიაში – საქართველოს რესპუბლიკა) ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელიც 1991 წლიდან დამოუკიდებელია.

საქართველოს მოსახლეობა ამჟამად 4 661 000-ს შეადგენს (2006 წ. ივლისის მონაცემებით), სადაც 83.8%-ს ეთნიკურად ქართველები შეადგენენ. მოსახლეობის 6.5%-ი აზერბაიჯანელია, 5.7%-ი – სომეხი, და 1.5% – რუსი (რუსების უმეტესობამ ქვეყანა დატოვა

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ).

1991 წლის 9 აპრილს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე მცირე ხნით ადრე საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

საქართველო ღარიბი ქვეყანაა. მასში ბევრია ბუნებრივი რესურსები და ადამიანური კაპიტალი, მაგრამ ის ღარიბია, რადგანაც ეკონომიკა განიცდის საბჭოთა კავშირის დროინდელ და მისი დაშლის შემდგომ პერიოდში განვითარებული პროცესების შედეგების ზემოქმედებას. თქვენთვის ცნობილია, რომ რუსეთის მხარდაჭერით აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა მიაღწიეს დე ფაქტო დამოუკიდებლობას საქართველოსგან. აფხაზი სეპარატისტების და ჩრდილოეთ კავკასიელი (მათ შორის ჩეჩენი) მოხალისეების მიერ ეთნიკური წმენდის შედეგად აფხაზეთი დატოვა 250 000-ზე მეტმა ქართველმა 1992-1993 წლებში. სამხრეთ ოსეთიდან წამოსულია 25 000-ზე მეტი ქართველი. ამჟამად, საქართველოს GDP 6.4 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო GDP ერთ სულ მოსახლეზე 1416 აშშ დოლარია.

გადამეტების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შემდგომი განვითარება და ჩვენი, როგორც ნაციის არსებობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შევძლებთ მივიღოთ „ციფრული რევოლუციის“ გამოწვევა და შევქმნათ „საინფორმაციო საზოგადოება“, მოვახდინოთ სათანადო რეაგირება და გადავჭრათ შესაბამისი ამოცანები, რომლებიც ახლანდელმა დრომ დააყენა ჩვენი უძველესი ერის წინაშე.

პრობლემის ძირეული ანალიზის შედეგად შეიძლება იმ მარტივ დასკვნამდე მისვლა, რომ საქართველო, ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყანა, შეძლებს შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოზადობა და ითანამშრომლოს წამყვან ქვეყნებთან თანასწორი პირობებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეუერთდება ციფრული რევოლუციის პროცესს და ყველა ზომას მიიღებს ციფრული უთანასწორობის დასაძლევად.

შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, შესაბამისი პირობების შექმნა, სხვა სიტყვებით, საქართველოს „ცი-

ფრული მოდერნიზაცია“, „აბრეშუმის დიდი გზის“ აღორძინებასთან ერთად და საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქციის დადგენა წარმოადგენს მთავრობის ისტორიულ დანიშნულებას. ამის გარდა, ეს დიდი ამოცანები გარკვეულწილად ავსებს ერთმანეთს, რადგანაც ციფრული მოდერნიზაციის გარეშე გლობალიზაციის ეპოქაში ძალზე რთული იქნება ეროვნული თვითმყობადობისა და უნიკალური კულტურის შენარჩუნება.

ფაქტობრივად, საქართველოს გადასვლა განვითარებულ ინდუსტრიულ და პოსტ-ინდუსტრიულ ეტაპზე და ჩვენი სახელმწიფოს სისტემის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში „საინფორმაციო საზოგადოების“ შექმნასთან და ამ საკითხებში ჩამორჩენა გამოიწვევს სრულიად ახალი ტიპის უთანასწორობას – „ციფრულ უთანასწორობას“.

რამდენადაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორი მიმართულია NATO-ს და ევროგაერთიანების წევრობისკენ, ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ინფორმაციის მოძრაობასთან, ICT სისტემების განვითარებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემების მოგვარება მნიშვნელოვანი პირობა იქნება ორივე სტრუქტურაში წევრობისთვის. ამდენად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი რაც შესაძლებელია, იმისათვის, რომ შეიქმნას საჯარო და გამჭვირვალე საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც მყარ საფუძველს ჩაუყრის ინფორმაციის მოძიების, გადაამუშავებისა და გავრცელების ძლიერ ინდუსტრიას.

როგორც წესი, „ციფრული უთანასწორობის“ დონეს აფასებენ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული პარამეტრის მეშვეობით:

– რამდენად ფართოდ და ხშირად გამოიყენება კომპიუტერული სისტემები, კომპიუტერული მოდელირება და პროგნოზირება მენეჯმენტში და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორც სახელმწიფო, ასევე სოციალური ცხოვრების ყველა მიმართულებისთვის.

– რა მასშტაბით და რამდენად ინტენსიურად გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები განათლებაში, მედიცინაში, დოკუმენტების მიმოქცევაში, ვაჭრობასა და სამომხმარებლო სფეროში;

– რამდენად დიდია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი ეკონომიკაში. მაგალითად:

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საერთაშორისო კონფრონტაციის სიმძიმის ცენტრმა გადაინაცვლა საინფორმაციო რესურსებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რის გამოც, უახლოეს მომავალში, აუცილებელი იქნება საერთაშორისო მექანიზმების, სახელმწიფო პოლიტიკისა და სამხედრო დოქტრინის გადასინჯვა და შესწორება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ არამარტო „ციფრულ ეკონომიკაზე“, „ელექტრონულ მენეჯმენტსა“ თუ „დისტანციურ განათლებაზე“, არამედ კაცობრიობის განვითარების სრულიად ახალ სტრუქტურაზე! ამ კონტექსტში, ჩვენ, ერთის მხრივ, წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ გარეშე ძალების მიერ მავნე და არასწორი ინფორმაციის მეშვეობით ზემოქმედებას ჩვენს საზოგადოებაზე, და მეორეს მხრივ, გამოვიყენოთ პროპაგანდა და ობიექტური ინფორმაცია ტერიტორიული პრობლემების მშვიდობიანად მოგვარებისთვის. აქ ჩვენ უნდა მივალწიოთ ინფორმაციის დროულად მიწოდებას და მის საიმედოობას, რაც ხელს შეუწყობს დიალოგს და განსხვავებული პოზიციებისთვის შეხების წერტილების პოვნას.

სახელდობრ, საინფორმაციო ტექნოლოგიები უნდა იქნას გამოყენებული, როგორც ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც გლობალიზაცია და ციფრული რევოლუცია ტრანსფორმირდება საქართველოს კეთილდღეობად. არა ქართული კულტურის საზიანოდ, არამედ პირიქით, მის გასამდიდრებლად, ქართული კულტურის წინსვლისთვის მთელს მსოფლიოში, რაც შექმნის სტიმულს ჩვენი განვითარების მამოძრავებელი ძალისათვის და მობილიზაციის ფაქტორს.

ყველა ზემოთ აღნიშნული პრობლემა მიუთითებს, რომ ციფრული უთანასწორობის შემცირება და აღმოფხვრა არის არამარტო პრიორიტეტი, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანა თითოეული ქვეყნისთვის.

ინფორმაციის მნიშვნელობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებზე გადააჭარბებს კაპიტალის მნიშ-

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ არამარტო „ციფრულ ეკონომიკაზე“, „ელექტრონულ მენეჯმენტსა“ თუ „დისტანციურ განათლებაზე“, არამედ კაცობრიობის განვითარების სრულიად ახალ სტრუქტურაზე!

ვნელობას. ამასთან ერთად, ცოდნა, და არა საკუთრება, იქნება დიფერენციაციის ფაქტორი და ინფორმირებული და განათლებული ადამიანი გახდება „მდიდარი“, ხოლო არაინფორმირებული და გაუნათლებელი – „ღარიბი“.

ამჟამად, ძირითადი სამუშაო დატვირთვა საქართველოში მოდის განათლებისა და ელექტრონული მართვის სისტემების განვითარებაზე. ელექტრონული მართვა მიგვიყვანს მმართველი ორგანოს გამჭვირვალობამდე და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნამდე, სოციალური ორიენტაციის ლიბერალურ ეკონომიკამდე და სოციალური დაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლებამდე, ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის შემცირებამდე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყნის სწრაფ ინტეგრაციამდე მსოფლიო თანამეგობრობაში.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რაიმეს შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაკეთოთ შეფასებები.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ შეფასებების გაკეთება და კვლევები, ნებისმიერ სფეროში საკმაოდ ძვირადღირებული საქმეა და ბევრ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. ამის გამო ჩვენ არა გვაქვს უახლესი შეფასებები. ყველაზე ბოლო დააფინანსა მსოფლიო ბანკმა და UNDP-იმ და გამოქვეყნდა 2004 წელს – „ICT-ის განვითარების სტრუქტურა საქართველოსთვის“.

ICT-ის სფეროში ამ შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი მეთოდოლოგია რეკომენდირებულია დოკუმენტში „მზადყოფნა ქსელური სამყაროსთვის: სახელმძღვანელო განვითარებადი ქვეყნებისთვის“, რომელიც შემუშავებულია ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო განვითარების ცენტრისა და IBM-ის მიერ (www.readinessduide.org). რაც შეეხება გამოყენებით მეთოდოლოგიას, კვლევითმა ჯგუფებმა საჭიროდ ჩათვალეს ამ მეთოდოლოგიის გამოყენება, რამდენადაც ის ყველაზე ფართოდაა მიღებული მთელს მსოფლიოში.

ჰარვარდის კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, საქართველოს ელექტრონული მზადყოფნა ციფრული მსოფლიო თანამეგობრო-

ბისტვის შეფასდა ეტაპებად, 1-დან (ყველაზე ჩამორჩენილი) 4-მდე (ყველაზე მონინავე). შეფასება ჩატარდა ხუთ წამყვან კატეგორიაში (ქსელის ხელმისაწვდომობა, ქსელური სწავლება, ქსელური საზოგადოება, ქსელური ეკონომიკა და ქსელური პოლიტიკა), რომლებიც 19 ქვეკატეგორიად იყოფოდა, თითოეული მათგანი შეფასდა დეტალურად.

მონაცემთა წყაროები, რომლებიც გამოიყენებოდა ელექტრონული მზადყოფნის შეფასებისთვის, მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას სამთავრობო სააგენტოებიდან, საქართველოს სატელეკომუნიკაციო კომპანიიდან, კერძო ტელეკომუნიკაციების ოპერატორებისგან, ინტერნეტ-პროვაიდერებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ელექტრონული მზადყოფნის შეფასება ასევე მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მოგვანოდეს დამოუკიდებელმა ექსპერტებმა, ჩატარებული სამინარებისა და შეხვედრების რეზიუმეებს, პირად ინტერვიუებს, ასევე ინტერნეტის რესურსებსა და ა. შ.

ზოგიერთი მიღწევები:

- 2005 წელს მოხდა შეთანხმება კორპორაცია მაიკროსოფტთან, Windows OS-ის ინტერფეისის ქართულ ენაზე თარგმანის თაობაზე.
- საქართველოში დაახლოებით 12-15 ინტერნეტ-პროვაიდერია, თუმცა, მხოლოდ 4 მათგანის ხელშია თავმოყრილი ინტერნეტ-კავშირების 70%-ზე მეტი.
- ექსპერტის შეფასების მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 250 000 კომპიუტერია, რაც ერთ სულზე 5%-ს შეადგენს. ეს უმთავრესად საქართველოს დედაქალაქს – თბილისს შეეხება. რეგიონებში სიტუაცია უარესია კომუნიკაციის პრობლემების გამო (ბევრი მათგანი ჯერ კიდევ აღჭურვილია მოძველებული სისტემებით და უვარგისი სატელეფონო ხაზებით, რაც ქსელში ჩართვის საშუალო სიჩქარის მიღწევის საშუალებასაც კი არ იძლევა).
- ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი დიდი გამტარუნარიანობის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკომუნიკაციო კაბელი, რომელიც საქართველოს გარე სამყაროსთან აკავშირებს და რომელსაც იყენებენ ინტერნეტ-პროვაიდერები საქართველოში. ამის გარდა, რა თქმა უნდა, ისინი იყენებენ თანამგზავრულ არხებს, თითქმის ყველა სამინისტროს საქართველოში აქვს ადგილობრივი ქსელები. ზოგიერთი მათგანი ჩართულია საერთო საქალაქო ქსელში (MAN). ერთ-ერთი მათგანი ნაჩვენებია მე-6 სლაიდზე – არაა მოცემული ვებსაიტზე.
- ყველა სამინისტროს, ერთის გარდა, აქვს თავისი ვებსაიტი. სამწუხაროდ, ისინი სრულად ვერ აკმაყოფილებენ ელექტრონული მმართველობის გამოყენებითი სისტემების კრიტერიუმებს. საქართველოს პარლამენტსა და საკანონმდებლო სექტორებს ასევე გააჩნიათ ვებსაიტები.
- UNDP-ის ერთ-ერთი ყველაზე ნარმატივული პროექტი საქართველოში, ICT-ის სფეროში, იყო ელექტრონული მმართველობის დაარსება საქართველოში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,

იმერეთის რეგიონის ცენტრში – ქალაქ ქუთაისში. ქუთაისის ცენტრალურ პუნქტთან შეერთებულია 11 ადმინისტრაციული ერთეული (სლაიდი 7, არ არის ვებსაიტზე). ქუთაისი ასევე ჩაერთვება საქართველოს მთავრობის ქსელში (ფართო ზონის ქსელი) (სლაიდი 8, არ არის ვებსაიტზე).

- რაც ძალზე პერსპექტიულია – UNDP-ის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული კლუბების ქსელის შექმნას საქართველოს ამ რეგიონში. ეს მოიცავს ინტერნეტ-კიოსკს, ტელეცენტრს ან საინფორმაციო კიოსკის მსგავს ფორმირებას, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ინდოეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მაგალითად ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში. ელექტრონული კლუბები უზრუნველყოფენ საინფორმაციო მომსახურებას უფასოდ, სოფლის დარიბი მცხოვრებლებისთვის და ადგილობრივი ორგანოებისთვის (სლაიდი 8, არ არის ვებსაიტზე).

რა გვაკლია

- შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია საერთო სახელმწიფო ICT პროგრამა, სულ მცირე 10-წლიანი პერიოდისთვის. ეს უნდა იყოს საფუძველი ყველა სხვა შემდგომი პროექტებისა და ინიციატივისთვის. ეს ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით ვიმოძრაოთ.
- საქართველოში ICT სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა საკანონმდებლო ბაზის არარსებობა. არ არსებობს თანამედროვე კანონები ICT სექტორის რომელიმე ასპექტის რეგულირებისთვის. ასევე არ არსებობს ICT-ის სფეროში სტანდარტების სისტემა, მაგალითად, ციფრული ხელმოწერები და სერტიფიკატები.
- საკომუნიკაციო ხაზები მთელ საქართველოში მოძველებულია. მართალია ისინი გარკვეულ პოზიტიურ ცვლილებას განიცდიან, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ აღწევენ მისაღებ დონესაც კი. სიტუაცია სწრაფად უმჯობესდება თბილისში. მობილური

ტელეფონების რიცხვის სწრაფი ზრდა რა თქმა უნდა აუმჯობესებს სიტუაციას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მომსახურება ჯერ კიდევ ძალზე ძვირია (1 წუთი ადგილობრივი საუბარი მობილური ტელეფონით დაახლოებით 15 ცენტი ღირს), რთულია ითქვას, მნიშვნელოვნად შეცვლის თუ არა ეს სიტუაციას მოსახლეობისთვის ICT-ის ხელმისაწვდომობის მხრივ.

- განათლება. მე არ ვგულისხმობ ზოგად განათლებას, რომლის დონეც საკმაოდ მაღალია საქართველოში. მე მხედველობაში მაქვს სპეციალური, დარგობრივი განათლება, მაგალითად ქსელების სფეროში. ვფიქრობ ბევრმა თქვენგანმა იცის „გონების გადინების“ მოვლენის შესახებ. ეს საქართველოსაც შეეხება, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ქვეყანაში ხელფასების დაბალ დონეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ნაკლებად განათლებულია ICT-ის სფეროში. ბევრი ახალგაზრდა კომპიუტერზე მუშაობას ინტერნეტ კლუბებში სწავლობს კომპიუტერული თამაშებით. ეს ცუდი არაა, თუმცა აშკარაა, რომ არასაკმარისია. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო მოხელეებზე. ამგვარად, ჩვენ გვჭირდება ფართო და მოტივირებული სასწავლო პროგრამა, ზოგჯერ უფასოც.
- ჩვენ ასევე გვჭირდება სპეციალიზებული სამთავრობო სააგენტო, რომელიც მოახდენს ICT-ის სფეროში სახელმწიფო პროგრამების, საერთაშორისო ტექნიკური დახმარებისა და ა. შ. კოორდინაციას. სამწუხაროდ ამჟამად ეს საკითხები გაფანტულია სხვადასხვა სამინისტროებში, რომლებიც რა თქმა უნდა ყურადღებას უმთავრესად საკუთარ სექტორულ ინტერესებს უთმობენ.
- საქართველოში საერთოდ არ გამოიყენება ელექტრონული კომერცია. ერთის მხრივ ეს შეიძლება აიხსნას შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობით, რომელიც საფუძველს შეუქმნიდა ICT-ის ამგვარ გამოყენებას. მეორეს მხრივ, მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე ზღუდავს ამგვარ ტრანსაქციებს. მე-10 სლაიდზე (არ არის ვებსაიტზე) თქვენ ხედავთ მომხმარებლების განაწილებას საქართველოში.

რა არის დაგეგმილი

უპირველეს ყოვლისა, მსურს ხაზი გავუსვა, რომ 2003 წ. ნოემბრის ვარდების უსისხლო რევოლუციის შემდეგ, მთავრობას, რომელიც ამჟამად ახალგაზრდა, ენერგიული და განათლებული ადამიანებისგან შედგება, კარგად ესმის ICT-ის მნიშვნელობა ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. იმის მიუხედავად, რომ არ არსებობს ცენტრალური სამთავრობო სააგენტო, რომელიც იკისრებდა პასუხისმგებლობას ICT-ის საკითხებზე, პრემიერ მინისტრის ერთ-ერთ ვიცე მოადგილეს აკისრია პასუხისმგებლობა ელექტრონულ მმართველობასა და სხვა შესაბამის საკითხებზე საქართველოში.

ელექტრონული მმართველობა დაკავშირებულია მთავრობის მიერ ICT-ის გამოყენებასთან, მუშაობის ეფექტურობის ამაღლების, ინფორმაციის გაზიარებისა და საზოგადოებისთვის უკეთესი მომსახურების განევის მიზნით. ელექტრონული მმართველობა, უფრო მიმართულია სამთავრობო რეფორმის პროცესებისა და შესაბამისი სარგებლობისკენ, ვიდრე კონკრეტული ტექნოლოგიური გადაწყვეტილებისა და მომსახურების გამოყენებისკენ.

კარგად დაგეგმილი ელექტრონული მმართველობის სტრატეგია ხელს უწყობს უფრო ეფექტური, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ჩამოყალიბებას. ძირითადი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან ერთად დაგეგმვის შემთხვევაში ელექტრონული მმართველობის გამოყენებას შეუძლია აღადგინოს მოქალაქეების ნდობა მთავრობის მიმართ, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, ბიზნესთან ინტერფეისის გაუმჯობესების გზით და შესაძლებლობა მისცეს მოქალაქეებს მონაწილეობა მიიღონ მმართველობის გაუმჯობესებაში. მართალია ელექტრონული მმართველობა არ წარმოადგენს პანაცეას რთული და ღრმად ფესვგადგმული პრობლემების მოგვარებისთვის, არ შეიძლება იმის უგულვებელყოფა, რომ ICT-ს გააჩნია შესაძლებლობა ეფექტურად შეუწყოს ხელი ანტიკორუფციულ ძალისხმევას.

სადაც გამოიყენება ელექტრონული მმართველობა კორუფციასთან ბრძოლისთვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ დაპროექტებისა

და განხორციელების პროცესებში ინტეგრირებული იყოს ოთხი უმთავრესი ანტიკორუფციული სტრატეგია – პროფილაქტიკა, განხორციელება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობების მიცემა და შესაძლებლობების განმტკიცება.

პროფილაქტიკა: ელექტრონული მმართველობის დანერგვა შესაძლებლობას იძლევა გამარტივდეს წესები და პროცედურები და ახლებურად აიგოს პროცესები და სისტემები. კომპიუტერების გამოყენება და „ონლაინ“ ოპერაციების შედეგად აღარ იქნებიან „კარისკაცები“, მოხდება მომსახურების მიწოდების დეპერსონალიზაცია და სტანდარტიზაცია, და ამგვარად შემცირდება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და კორუფციის შესაძლებლობა.

განხორციელება: კომპიუტერიზებული პროცედურები შესაძლებელს გახდის გადანყვეტილებებისა და ქმედებების თვალის მიდევნებას, და ამდენად კორუფციის კიდევ ერთი შემაფერხებელი გახდება. სადაც მონაცემები ცენტრალიზებულია, აუდიტის მიზნებისთვის შესაძლებელი იქნება ნიმუშების მიღების მიუკერძოებელი პროცედურების გამოყენება.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობის მიცემა: სამთავრობო ინფორმაციის გამოქვეყნება „ონლაინ“ რეჟიმში უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას მოქალაქეებისთვის დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, რათა მათ დაასაბუთონ თავისი საჩივრები კორუფციული პრაქტიკის წინააღმდეგ.

შესაძლებლობის განმტკიცება: ელექტრონული მმართველობის დანერგვა საჭიროებს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსების განვითარებას, განათლებას ICT-ის სფეროში და კარგი მმართველობის განვითარების ხელშეწყობას.

ექსპერტების აზრით, საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტები ასევე არის: საჯარო-სახელმწიფო მონაცემთა ბაზა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, საჯარო-სახელმწიფო მონაცემთა ბაზა საზოგადოების ინფორმირებისთვის, გაერთიანებული

საბაჟო – საგადასახადო მონაცემთა ბაზა. ამ ბანკებში დაგროვდება მნიშვნელოვანი საჯარო და სახელმწიფო ღია ინფორმაცია მოქალაქეების, იურიდიული პირების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამთავრობო თანამდებობის პირების შესახებ. და ასევე ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან და ბუნებრივ რესურსებთან, ურბანიზაციასთან, მინათსარგებლობასა და სატყეო მეურნეობასთან, გეოლოგიასთან, ეკოლოგიასთან და რადიაციულ უსაფრთხოებასთან.

კორპორაცია Cisco-მ საქართველოს მთავრობას გადასცა 1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აპარატურა საქართველოს მთავრობის ქსელის შესაქმნელად. სახელმწიფო მინისტრმა ახლახანს ჩაატარა შეკრება, სადაც გადაწყდა, რომ მთავრობა დააბანდებს საკუთარ რესურსებს იმისათვის, რომ საქართველოს სამთავრობო ქსელი უფრო ყოვლისმომცველი გახადოს, დაფაროს საქართველოს მთელი ტერიტორია. მას შეუერთდება ყველა სამთავრობო ორგანო, უზრუნველყოფილი იქნება მონაცემთა გადაცემა, ერთობლივი მონაცემთა ბაზები, ხმოვანი კომუნიკაცია IP ტელეფონების მეშვეობით. ეს ქსელი, რა თქმა უნდა, სათანადოდ იქნება დაცული (გამოყენებული იქნება დაცვის სისტემა და VPN პროტოკოლი).

ციფრული ჩამორჩენილობის დასაძლევად თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიგოს, რომ დღეს საინფორმაციო ტექნოლოგიები ბუნებრივად შემოდის თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში და ზემოქმედებას ახდენს არამარტო მენეჯმენტზე, ეკონომიკაზე, განათლებაზე, თუ მეცნიერებაზე, არამედ თავად ადამიანებზეც. „საინფორმაციო საზოგადოებაში“ ერთნაირად არსებობს როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის, ასევე სოციალური დაცვის პრინციპები და მიზნებიც.

რა თქმა უნდა, საინფორმაციო საზოგადოების ინსტრუმენტების მართვა შესაბამისი ადამიანების ხელში უნდა იყოს. საქართველო თანამედროვე ICT-ის ექსტრემიზმისა და ტერორიზმის მიზნებისთვის, ასევე ძლიერი სახელმწიფოების მიერ მცირე ქვეყნებზე ზეწოლისთვის გამოყენების წინააღმდეგია. პირიქით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიურმა რევოლუციამ უნდა შექმნას

საფუძველი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის ქვეყანაში. შეამციროს დაშორება ჩამორჩენილ და წამყვან ქვეყნებს შორის, ხელი შეუწყოს სამართლიან საერთაშორისო ურთიერთობას და უზრუნველყოს მშვიდობა მცირე რეგიონებსა და მთელ დედამიწაზე.

ქალთა საინფორმაციო მეთხროვნობის უზრუნველყოფა

ძირითადი შედეგები

- პერსონალურ კომპიუტერებს და ინტერნეტს იცნობს 65%-ი.
- ორივე სქესის რესპონდენტების 44% აცხადებს, რომ ისინი სარგებლობდნენ ინტერნეტით გარკვეულ დროს.
- ICT-ით სარგებლობის (მობილური ტელეფონის გარდა) მაჩვენებელი შედარებით უფრო დაბალია ქალებს შორის, 44%-ი საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ქალების მიერ ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და 36%, 32% და 28%-ს შეადგენს, ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში.
- ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი უფრო მაღალია უფრო უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში: 16-დან 34 წლამდე გამოკითხულთა 70%-ი სარგებლობს ინტერნეტით, მაშინ, როცა 55 წლის ზემოთ ეს მაჩვენებელი 14%-ს შეადგენს.
- ასაკი ზემოქმედებას ახდენს ICT-ის გამოყენების სურვილზე. 55 წლის და უფროსი არა-მომხმარებლების დაახლოებით სამი მეოთხედი აცხადებს, რომ მათ არა აქვთ სტიმული ისარგებლონ კომპიუტერებითა და ინტერნეტით.
- არსებულ არა-მომხმარებლებს შორის, რომლებიც დაინტე-

რესებული არიან ისარგებლონ კომპიუტერით ან ინტერნეტით, ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც ისინი არ სარგებლობენ ამჟამად, არის თავად კომპიუტერების ან (ინტერნეტში ჩართვისთვის) სატელეფონო შეერთების მაღალი ფასი. ეს განსაკუთრებით შეეხებათ 16 წლამდე ბავშვებს და იმ პირებს, რომლებსაც ძალზე უჭირთ.

ქალთა ორგანიზაციების მიერ ICT-ის ინფრასტრუქტურის გამოყენება შეზღუდულია უმთავრესად პოლიტიკის მიმართულებების არარსებობის და პოლიტიკისა და კვლევის ორგანიზაციების რეფორმების მიმდინარეობის გამო. არსებული სიტუაცია უბრალოდ ასახავს ყოველივე ამ უარყოფით გარემოებებს და ის მნიშვნელოვანწილად შეიძლება გამოსწორდეს რიგი ინიციატივების მეშვეობით:

ქალთა ორგანიზაციების მიერ ICT-ის ინფრასტრუქტურის გამოყენება შეზღუდულია უმთავრესად პოლიტიკის მიმართულებების არარსებობის და პოლიტიკისა და კვლევის ორგანიზაციების რეფორმების მიმდინარეობის გამო.

- იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო ფირმების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ა. შ. პარტნიორობების ან კოალიციების შექმნის ხელშეწყობა, რომლებიც ამჟამად ცალცალკე მუშაობენ, სოფლის მეურნეობის საერთო მიზნების, მაგ. სოფლის განვითარების ან სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესების მისაღწევად.
- ტრადიციულ და ICT ინფრასტრუქტურას შორის ურთიერთდამოკიდებულების გამოყენება სოფლად, სადაც ტრადიციული ინფრასტრუქტურა (სატრანსპორტო, ელექტრომომარაგებისა და სატელეკომუნიკაციო საშუალებები) სუსტადაა განვითარებული და ამდენად ICT-ში ინვესტირება გაცილებით უფრო მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ეს სხვა ვითარებაში იქნებოდა. ამის გამოსწორება შეუძლია სოფლის განვითარების ფართო დანიშნულების პროექტებს, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებას მოახდენდნენ ICT-ის ეფექტურობის გაზრდასა და ICT-ში კაპიტალდაბანდების ხარჯების შემცირებაზე.
- ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა: კვალიფიცირებული ადამიანური რესურსების გარეშე ვერ განხორციელდება ინვესტირება ICT-ის სფეროში და სავარაუდოდ, წარმატებას ვერ მიაღწევს არსებული შეთანხმებები საერთა-

შორისო კომპანიებთან, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების თაობაზე. აუცილებელია ტრენინგული სამუშაო ძალები ნებისმიერი ICT-ის აპარატურული უზრუნველყოფისთვის, ადგილებზე.

კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევების ფასეულობის აღქმა

73%-ი აცხადებს, რომ „კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები არსებითია ჩემი შვილების სამუშაოსთვის, ამჟამად“ ადამიანების 98%-ი თანახმაა, რომ „კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები არსებითად მნიშვნელოვანი იქნება ჩემი შვილების სამუშაოსთვის, მომავალში“. ეს მაჩვენებლები თითქმის არ იცვლება სხვადასხვა ჯგუფებში.

რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვები, რომლებიც უკავშირდებოდა მათ აზრს კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევების ფასეულობის შესახებ. ეს მოიცავდა შეკითხვას იმის თაობაზე, თუ მათი აზრით რამდენად მნიშვნელოვანი იყო ცხოვრებაში კომპიუტერების გამოყენების უნარი, იმის თაობაზე, არის თუ არა კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები „არსებითი ჩემი სამუშაოსთვის, ამჟამად“ და (სადაც შესაბამისია) „არსებითი იქნება ჩემი შვილების სამუშაოსთვის, მომავალში“.

გამოკითხული ხუთი ადამიანიდან ოთხზე მეტი ფიქრობს, რომ კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები „საკმაოდ მნიშვნელოვანია“ ან „ძალზე მნიშვნელოვანია“ საერთოდ, ცხოვრებაში. 44% ამბობს, რომ ეს „ძალზე მნიშვნელოვანია“. გამოკითხულთა შორის იყო ასაკობრივი და სოციალური განსხვავებები, მაგრამ ეს განსხვავებები ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო ICT-ის გამოყენებასთან მიმართებაში.

ხუთი ადამიანიდან სამი თანახმაა, რომ კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები „არსებითი იქნება ახალი სამსახურის მოძიებისთვის“. ხოლო 44% აცხადებს, რომ კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები „არსებითია ჩემი სამუშაოსთვის, ამჟამად.“ ამ აზრს ეთანხმება 55 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებიდან მხოლოდ 18%-ი.

73%-ი აცხადებს, რომ „კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები არსებითია ჩემი შვილების სამუშაოსთვის, ამჟამად“ ადამიანების 98%-ი თანახმაა, რომ „კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები არსებითად მნიშვნელოვანი იქნება ჩემი შვილების სამუშაოსთვის, მომავალში“. ეს მაჩვენებლები თითქმის არ იცვლება სხვადასხვა ჯგუფებში.

კომპიუტერებით სარგებლობა და სარგებლობის დაბრკოლებები

იმ პირთა შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ ამჟამად სარგებლობენ კომპიუტერით, დაახლოებით 85%-ი აცხადებს, რომ ისინი სარგებლობენ დაახლოებით კვირაში ერთხელ; 55%-ი აცხადებს, რომ სარგებლობენ კომპიუტერით ყოველდღიურად. სარგებლობის დროც ასევე მნიშვნელოვნად ცვალებადია. 25-34 წლის პირები დაახლოებით ორჯერ უფრო მეტ ხანს სარგებლობენ კომპიუტერით, ვიდრე 55 წლის და უფროსი ასაკის პირები (16 სთ და 8 სთ, შვიდი დღის განმავლობაში). სხვა ჯგუფებს შორის სარგებლობის ხანგრძლივობის სურათი დაახლოებით სარგებლობის სიხშირის ანალოგიურია.

ისინი, ვინც არ სარგებლობენ კომპიუტერით და არც დაინტერესებულნი არიან მომავალში მისი გამოყენებით, თავიანთი ინტერესის ნაკლებობის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ეს იდეა მათ არ იზიდავთ (53%), ან რომ ისინი თავს ძალზე ხანში შესულად თვლიან ამისთვის (32%),

არა-მომხმარებლებს შორის 28%-ი აცხადებს, რომ ისინი ძალიან, ან საკმაოდ დაინტერესებული არიან მომავალში კომპიუტერის გამოყენებით. კომპიუტერებით არ-სარგებლობის ძირითადი (გარედან შეხსენების გარეშე) მიზეზი, რომელიც ამ ჯგუფმა დაასახელა, არის მაღალი ხარჯები, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც სახლში 16 წლამდე ბავშვები ჰყავს.

ისინი, ვინც არ სარგებლობენ კომპიუტერით და არც დაინტერესებულნი არიან მომავალში მისი გამოყენებით, თავიანთი ინტერესის ნაკლებობის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ეს იდეა მათ არ იზიდავთ (53%), ან რომ ისინი თავს ძალზე ხანში შესულად თვლიან ამისთვის (32%), ეს მიზეზები განსაკუთრებით ხშირია უფრო ასაკოვან ადამიანებს შორის. უფრო ახალგაზრდა არა-მომხმარებლებისთვის ღირებულება საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს. 16-34 წლის რესპონდენტების ნახევარზე ნაკლები ამბობს, რომ მათ არ შეუძლიათ კომპიუტერის ყიდვა, მაშინ, როცა 55 წლის და უფროსი ადამიანებს შორის ასეთები 21%-ს შეადგენენ.

არა-მომხმარებლებს ჰკითხეს, თუ რა მისცემდა მათ სტიმულს გამოეყენებინათ კომპიუტერი მომავალში. 55 წლის და უფროსი ასაკის ადამიანების სამ მეოთხედზე ნაკლებმა უპასუხა, რომ მათ ვერაფერი დაარწმუნებს, ისევე, როგორც ყველა რესპონდენტების ნახევარს.

ძირითადად სტიმული დაკავშირებულია ხარჯებთან და უფასო ან იაფი აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა უმეტესად ყველაზე ხშირად იქნა დასახელებული (15%).

დასკვნები

საქართველოში აღიარებულია განვითარებისთვის ინფორმაციის გადაცემისა და გავრცელების ტექნოლოგიების მნიშვნელობა. თუმცა, ზემოთ განხილულმა საკითხებმა ნათელი გახადა, რომ ICT-ის ხელმისაწვდომობა ქალებისთვის „ბუნებრივად“ არ იქნება უზრუნველყოფილი, როდესაც გამოიყენება გენდერულად არადიფერენცირებული მიდგომები და ტექნოლოგიები.

საქართველოში აღიარებულია განვითარებისთვის ინფორმაციის გადაცემისა და გავრცელების ტექნოლოგიების მნიშვნელობა. თუმცა, ზემოთ განხილულმა საკითხებმა ნათელი გახადა, რომ ICT-ის ხელმისაწვდომობა ქალებისთვის „ბუნებრივად“ არ იქნება უზრუნველყოფილი, როდესაც გამოიყენება გენდერულად არადიფერენცირებული მიდგომები და ტექნოლოგიები. ფაქტობრივად, როგორც აღინიშნა IDRC-ის გენდერული და საინფორმაციო სამუშაო ჯგუფის მიერ, „საინფორმაციო რევოლუციის“ დადებითი შედეგების უმეტესობამ გვერდი აუარა ქალებს.“ ქალების საინფორმაციო საჭიროების და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არ ჩატარებულა ბევრი გამოკვლევა განვითარებად ქვეყნებში. სანამ ეს შეიცვლებოდა, „საინფორმაციო მაგისტრალები“ უმთავრესად მამაკაცებზეა ორიენტირებული და ხშირად წარმოადგენს ფორუმს გენდერული დისკრიმინაციის, დაშინებისა და ძალდატანებისთვისაც კი. ICT-ის დიდი მნიშვნელობა როგორც მამაკაცების, ასევე ქალებისთვის დასაქმების, განათლების, ტრენინგის და სხვა სამუშაო თუ პირად სფეროებში ნიშნავს, რომ ქალებს სჭირდებათ ხელშეწყობა და მხარდაჭერა საინფორმაციო რევოლუციაში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად. მაგალითად, ქალების კონცენტრაცია საკანცელარიო ICT სამუშაოზე არ უზრუნველყოფს მათთვის უფრო მაღალ ადგილს ICT იერარქიაში. რა მნიშვნელობა ექნება ICT-ს სფეროში უფრო მაღალი ტექნიკური და საოპერაციო კვალიფიკაციის დონის მოთხოვნას ქალების დასაქმებისთვის მომავალში? გამოკვლევები უჩვენებს, რომ მამაკაცები კვლავ ხელს უშლიან ქალების-

თვის საჭირო ტრენინგების ხელმისაწვდომობას უფრო მაღალკვალიფიციური სამუშაოსთვის. მეორეს მხრივ, საქართველოში ქალები ფართოდ არიან ჩართული ოფიციალურ და არაოფიციალურ სამეწარმეო საქმიანობაში: ეჭვი არაა, რომ განვითარებად ქვეყნებში ქალები ეკონომიკური განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.“ რაც უფრო მეტად ეყრდნობა ეკონომიკა ინფორმაციას, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქალებისთვის მისი გამომუშავებისა და გავრცელების ხელმისაწვდომობის საკითხები, მთლიანად საქართველოსთვის.

ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფერო წარმოადგენს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მზარდი მნიშვნელობის ელემენტს და ის სულ უფრო და უფრო მეტ ზემოქმედებას მოახდენს მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში განათლების, კომუნიკაციის შინაარსსა და მექანიზმებზე, გავლენას მოახდენს სწავლების ურთიერთქმედებისა და თემის ეროვნულ და საერთაშორისო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის თანამეგობრობების შექმნაზე.

როგორც დადგინდა ქალებისთვის კრიტიკული საინფორმაციო საკითხებია:

- ინფორმაციის ტიპი – მისი სახე, მისი ხელმისაწვდომობა და გენდერული გაგება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიური პროცესი – ქალებისთვის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, მათი გამოყენების სიადვილე, ამასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესები და მნიშვნელობა ქალებისთვის. ქალების აქტიური ჩართვა მათი საინფორმაციო საჭიროებების დადგენისა და განსაზღვრის საქმეში, აგრეთვე ამ საჭიროებების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცესების არჩევაში. ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს მათი ნაყოფიერი მონაწილეობისთვის, ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელებისთვის, აგრეთვე იმ ინფორმაციის დადგენისა და ხელმისაწვდომობისთვის, რომელიც მათ სჭირდებათ.

ამ თვალსაზრისით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეიძლება ჩაითვალოს შესაძლებლობების გაფართოების ცენტრალურ საკითხ-

ად. იმ სახის ინფორმაციაზე კონტროლი, რომელიც მათ სჭირდებათ და რომელსაც ისინი ქმნიან – კომუნიკაცია – ქალების შესაძლებლობების გაფართოების ფუნდამენტური ასპექტია, ისევე, როგორც მათი საჭიროებებისთვის ორგანიზებისა და მობილიზების უნარი.

საერთაშორისო პოლიტიკა

ამგვარად, ქალებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ICT ტექნოლოგიების სათანადო ხელმისაწვდომობას, მათი საჭიროებებისა და პერსპექტივების შესაბამისი ინფორმაციის მიღებისა და შექმნის ავტონომიურობას. ბოლო დროის მნიშვნელოვან საერთაშორისო პოლიტიკურ დოკუმენტებში გათვალისწინებულია ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გენდერული საკითხები. ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის სამოქმედო პლატფორმა ითვალისწინებს, რომ:

ქალების შესაძლებლობები უნდა გაფართოვდეს მათი საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების და ცოდნის გაუმჯობესების, ICT-ის ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ეს განამტკიცებს მათ შესაძლებლობას იბრძოლონ ქალების უარყოფითი იმიჯის წინააღმდეგ საერთაშორისო დონეზე და დასძლიონ ძალაუფლების გადამეტების პრობლემები მზარდი მნიშვნელობის დარგში. ამდენად, საჭიროა ქალების ჩაბმა ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებაში, რათა მათ სრულად მიიღონ მონაწილეობა მათ ზრდასა და ზემოქმედებაში.

პლატფორმა მოუწოდებს ქალებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და მათი მონაწილეობის გაფართოებისკენ, მედიასა და ICT-ს სფეროში გამოხატვისა და გადანყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, რათა დაძლეულ იქნას ქალების უარყოფითი იმიჯი და სტერეოტიპები, მედიასა და კომუნიკაციაში და წარმოდგენილ იქნას ქალების დაბალანსებული, არა-სტერეოტიპული და მრავალფეროვანი იმიჯი.

ქალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაძვთ განვითარებისთვის საჭირო ცოდნაში

ქალების საჭიროებები ICT-ის სფეროში არ შეეხება მხოლოდ განათლებისა და ტრენინგების ხელმისაწვდომობას, რაც ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას. საჭიროა ასევე იმის სოციალური და პოლიტიკური აღიარება, რომ ის, რასაც ქალები უკვე აკეთებენ არის ტექნოლოგია, და ამის გარდა, წარმოადგენს განვითარების მნიშვნელოვან რესურსს.

ქალების საჭიროებები ICT-ის სფეროში არ შეეხება მხოლოდ განათლებისა და ტრენინგების ხელმისაწვდომობას, რაც ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას. საჭიროა ასევე იმის სოციალური და პოლიტიკური აღიარება, რომ ის, რასაც ქალები უკვე აკეთებენ არის ტექნოლოგია, და ამის გარდა, წარმოადგენს განვითარების მნიშვნელოვან რესურსს.

ქალების ტექნოლოგიური საქმიანობის ხმარდაჭერა, მათი, როგორც განვითარებადი ქვეყნების შესახებ ყველაზე ბუნებრივი ცოდნის მფლობელების როლის აღიარება, ასევე მათი პოტენციალის ხელშეწყობა მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში არსებითია თემის განვითარებისთვის. ამ მიზეზებს მოიცავს ფასეული რესურსების გამოყენების სარგებლობა, ქალებისთვის პირადი და პროფესიონალური განვითარების თანასწორი უფლებების აღიარება, აგრეთვე იმ კვალიფიკაციითა და ინოვაციებით სარგებლობა, რომლებიც შეიქმნება ქალების პერსპექტივებისა და პასუხისმგებლობების რეალიზაციის შედეგად. ქალი ინოვაციების შესწავლამ უჩვენა, რომ ქალების გამოგონებები პირდაპირ შეიძლება იქნას გამოყენებული ოჯახისა და თემის კეთილდღეობის მისაღწევად ან ეფექტურობის ასამაღლებლად. ნათელი ხდება, რომ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი ამოცანაა არამარტო ინფორმაციის დაგროვება, არამედ ისიც, რომ ქალებს საშუალება მისცენ გაავრცელონ მათ ხელთ არსებული და მათ მიერ გამოიმუშავებული ინფორმაცია.

ქალების შესაძლებლობების გაფართოება ICT-ის მეშვეობით

საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალების პოტენციალის ალტერნატიული, დაბალანსებული და ობიექტური სურათის გასაფრთხილებლად. ის ასევე მნიშვნელოვანია ქალების მდგომარეობის ანალიზის ხელშეწყობისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ასევე აქტიური სტრატეგიის შემუშავებისთვის. კარენ ბენკსი GreenNet-დან აღნიშნავს, რომ ქალების საქმიანობა ICT-ის სფეროში საკუთარ დინამიკას იძენს. ე. ი. ეს საქმიანობა უფრო მოძრაობაა, რომელიც იმპულსს იძენს თანასწორი ადამიანების ქსელის მხარდაჭერით, და რომელიც იყენებს ICT-ს კომუნიკაციის, კოორდინაციის, ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებისთვის.“ ის ეხმარება ქალებს გამოიმუშაონ რწმენა და გამოცდილება თავიანთი მოსაზრებების საჯაროდ გამოსახატავად, აძლევს რა მათ ექსპერიმენტირების საშუალებას და შესაძლებლობას იპოვნონ მომხრეები თემებში, ქვეყნებსა და რეგიონებში.

ICT-ს სხვა უპირატესობები ქალებისთვის მოიცავს გამოქვეყნების გაცილებით უფრო დაბალ ღირებულებას მას შემდეგ, რაც პირველი ფინანსური ინვესტიცია განხორციელდება, რაც ხელს უწყობს ქალებს საჯაროდ გამოხატონ თავისი მოსაზრებები. კომუნიკაციის ახალი სივრცე, რომელსაც ICT ქმნის, არის დეცენტრალიზებული, არა-იერარქიული და მრავალი ხმისა და მოსაზრებების ერთდროულად „რეგისტრაციის“ საშუალება. ამის შედეგად მიიღება ჰიბრიდიზირებული, შინაგანად ინტეგრირებული პროდუქტი ახალი ტიპის დისკუსიების შესაძლებლობებით. ICT კომუნიკაციის ალტერნატიული რეჟიმების განვითარების და ისეთი მოქმედების საშუალებას იძლევა, რომელიც სცილდება რიტორიკის ფარგლებს და შეისწავლის მოქმედების ახალ მოდელებს.

მთელი მსოფლიოს ქალებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის ფართოდ გამოყენება, პეკინის კონფერენციის დროს, ქალების მიერ ICT-ის, როგორც ინფორმაციის გავრცელების, კომუნიკაციისა და ორგანიზაციის ინსტრუმენტის გამოყენების მაგალითია.

ქალთა ხმის გაძლიერებასთან ერთად ICT-ს შეუძლია სხვა სარგებლობაც მოუტანოს ქალებს – ხელი შეუწყოს ქალების მონაწილეობას სხვადასხვა სექტორებში და სხვადასხვა რეგიონებში. მათ შეუძლიათ მიანოდონ ქალებს ის ინფორმაცია, რომელიც მათ სჭირდებათ, საკუთარი და საკუთარი ოჯახების კეთილდღეობის მისაღწევად და მათი სამმაგი როლის უფრო ეფექტურად შესასრულებლად. ოფისებში კომპიუტერების ამუშავებამ გააუმჯობესა შრომითი ცხოვრება ქალებისთვის, რომლებიც საკანცელარიო და ადმინისტრაციული საქმიანობით არიან დაკავებული. ICT მათ საშუალებას აძლევს გაუზიარონ ერთმანეთს თავისი თვალსაზრისი, მოსაზრებები და ახალი ამბები, რაც შესაძლებელი არ იქნებოდა სხვა მედიის საშუალებით, რომელიც მთავრობის ცენზურასა და კონტროლს ექვემდებარება.

დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს სრულად გამოიყენონ ICT

ICT-ით სარგებლობისა და მათი ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი დაბრკოლებები ბევრია და ისინი დოკუმენტურადაა დაფიქსირებული. ინტერნეტით სარგებლობის ხარჯები ყველა დონეზე ხელმიუწვდომელია მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის. კომპიუტერები და მოდელები შემოაქვთ ინდუსტრიული ქვეყნებიდან. სატრანსპორტო და საბაჟო ხარჯები, აგრეთვე არახელსაყრელი სავალუტო კურსი ზრდის მათ ღირებულებას. შემდგომ, სატელეფონო ხაზები საზოგადოდ არასაიმედოა, ხოლო ელექტროენერჯის მიწოდება ხშირად ნყდება. სხვა პრობლემები მოიცავს ტრენინგის ხელმისაწვდომობის ნაკლებობას, ტექნიკური ინფორმაციის ნაკლებობას, კომპიუტერის ნაწილებისა და მათი შეკეთების პრობლემას, ტექნოლოგიური მოძველების, ადამიანების კვალიფიკაციისა და ნოუ-ჰაუს ნაკლებობის პრობლემებს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით, საქართველოში ICT-ის განვითარების ძირითადი პრობლემებია:

- აუცილებელია შესაბამისი ქართული ინფორმაციის („შინაარსის“) სათანადოდ მომზადება, მენეჯმენტი და მიწოდება საქართველოს ფარგლებში. დაუმუშავებელი ინფორმაცია ძალზე ფასეულია იმისათვის, რომ ვინმე სხვას ვანდოთ. ამ მოთხოვნისკენ თითქმის არაა მიმართული რესურსები.
- ტელეფონი და სხვა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა ქალაქების ფარგლებს გარეთ კვლავ ცუდად ფინანსდება. ამ პრობლემას ვერ გადაჭრის ლიბერალიზაცია. კერძო ინვესტიციები არარეგულირებად ბაზრებზე ჯერ-ჯერობით კონცენტრირებულია დიდ ქალაქებში.
- საერთაშორისო ინვესტიციები ტექნიკური ტრენინგისა და შესაძლებლობების განმტკიცების სფეროში კრიტიკული მნიშვნელობის მოთხოვნისაა, განსაკუთრებით იმისათვის, რომ ქალები ჩაებან ქსელურ ტექნოლოგიებში. ძალზე ხშირად ხდება საქართველოს ამ კონკრეტული საჭიროების იგნორირება.

ჩვენს ქვეყნებში ეკონომიკურმა სიძნელებმა ქალებისათვის შეუძლებელი გახადა ფულის შეგროვება, მაგალითად კომპიუტერული ტექნიკის საყიდლად. ამიტომ, კომპიუტერული კურსების გავლის შემდეგ, თუ ადამიანს არა აქვს კომპიუტერი ოფისში სავარჯიშოდ, მაშინ ის კვლავ სანყის დონეს დაუბრუნდება, რადგანაც მას არ შეუძლია კომპიუტერის ყიდვა...

ამის გარდა, კულტურული დამოკიდებულება და პრობლემები რთულ ამოცანებს აყენებს ტექნოლოგიების გამოყენების არა-აპარატურულ ასპექტებში. ეს მოიცავს ელექტრონული ქსელების ორგანიზაციათა შორის კომუნიკაციაში ჩართვის გამოცდილების ნაკლებობას და ტენდენციას, განთავსდეს საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დირექტორებისა და დირექტორების მოადგილეების კაბინეტებში.

ეს დაბრკოლებები ICT-ის გამოყენებაში კიდევ უფრო ძლიერდება ქალებისათვის მათი უფრო დაბალი ეკონომიკური და სოციალური სტატუსის გამო. აგრეთვე იმის გამო, რომ მათ აკლიათ ტრენინგი და ცოდნა, კონცენტრირებული არიან უფრო დაბალი დონის და სანყის დონის დასაქმებაზე, არ გააჩნიათ ავტონომია და ცოტა დრო აქვთ.

ჩვენს ქვეყნებში ეკონომიკურმა სიძნელებმა ქალებისათვის შეუძლებელი გახადა ფულის შეგროვება, მაგალითად კომპიუტერული ტექნიკის საყიდლად. ამიტომ, კომპიუტერული კურსების გავლის შემდეგ, თუ ადამიანს არა აქვს კომპიუტერი ოფისში სავარჯიშოდ,

მაშინ ის კვლავ სანყის დონეს დაუბრუნდება, რადგანაც მას არ შეუძლია კომპიუტერის ყიდვა... ბევრმა მამაკაცმა უკვე იცის კომპიუტერზე მუშაობა, რადგანაც მათ მეტი დრო აქვთ საკუთარი თავისთვის, ხელი მიუწვდებათ ICT-ზე და აქვთ ხელშემწყობი გარემო ნებისმიერი ახალი უნარ-ჩვევების შესაძენად.

განათლებისა და ტრენინგის საერთო და ფართოდ გავრცელებულ შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ქართველი ქალებისთვის რამდენიმე ასპექტი აქვს მათ მიერ ICT-ის გამოყენების თვალსაზრისით:

- ამ სფეროში განათლების დაბალი დონე ქართველ ქალებს შორის პირველი დაბრკოლებაა ICT-ის გამოყენებისთვის.
- ენობრივი პრობლემები ძლიერდება ქალებისთვის, რომლებსაც ნაკლებად აქვთ დრო, ფული და ინგლისური ენის შესწავლის შესაძლებლობა – ენის, რომელიც დომინანტურია ICT-ისთვის – ან არსებული ინფორმაციისა და ტრენინგის დოკუმენტების ფრანგულ თუ ადგილობრივ ენაზე სათარგმნად.
- ქალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი დაწყებით კომპიუტერულ კურსებზე, რომ არაფერი ვთქვათ მაღალი დონის კომპიუტერულ სწავლებაზე.

როგორც მითითებულია ზემოთ მოყვანილ მრავალ მაგალითში, ქალებისთვის დროს უპირველესი მნიშვნელობა აქვს. APC-ის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ ICT-ის გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორები მოიცავს ინფორმაციით გადატვირთვას და სასარგებლო, პრაქტიკული ინფორმაციის ძიებისთვის დახარჯულ დროს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ გარკვეული აზრით, ინტერნეტი იმ ადამიანებისთვისაა, რომლებიც უსაქმოდ არიან.“

სოციალური ზემოქმედება ქალების დამოკიდებულებაზე ტექნოლოგიების მიმართ ასევე მოქმედებს ქალების პოზიციაზე ICT-თან დაკავშირებით. ქალების არა-ტექნოლოგიური პროფესიებისკენ და პასუხისმგებლობისკენ მიმართვის ტენდენცია განაპირობებს იმას, რომ ქალები გრძნობენ „შიშსა და უხერხულობას“ ICT-სთან დამოკიდებულებაში. გამოკვლევამ უჩვენა, რომ ქალების აზრით, სიტყვა „ტექნოლოგიას“ მამაკაცური ქვეტექსტი აქვს, მიუხედავად იმისა,

რომ „ინფორმაცია“ უფრო ქალურად ჟღერს. ზოგიერთი იმასაც კი ფიქრობს, რომ ICT-სთან მუშაობა ქალებს გააგიჟებს. ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ქალებს ძლიერი დისკომფორტი აქვთ.

საზოგადოდ, ქალები არ არიან დაკავებული პროფესიებით, რომლებიც ICT-ს ეყრდნობა, თუმცა, ეს ვითარება ნელ-ნელა იცვლება. როდესაც ისინი ამ სექტორში არიან დასაქმებული, მათ უმეტესად დაბალანაზღაურებადი და ნაკლებად პრესტიჟული თანამდებობები უკავიათ. დაწესებულებებსა და ინდუსტრიაში ძლიერი იერარქიულობა ნიშნავს, რომ მათი დაბალი თანამდებობების გამო ქალებს ხელი არ მიუწვდებათ კომპიუტერებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ მეტი შეუძლიათ და მეტად სჭირდებათ ისინი. უმთავრესი საჩივარი, რომელიც ისმოდა სემინარზე „ქალი და ინტერნეტი“, არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმზე, პეკინში, იყო ის, რომ უმთავრესად კომპიუტერები და მოდემები (მამაკაცი) დირექტორების ოფისებში ხვდება, სადაც მათ არავინ იყენებს, იმის ნაცვლად, რომ (ქალ) მდივანს დაუდგან, რომელსაც სურს და შეუძლია კომპიუტერის გამოყენება კომუნიკაციისა და დოკუმენტაციის წარმოებისთვის (პირადი დაკვირვებები).

დეპარტამენტების კომპიუტერიზაციამ შეიძლება სხვადასხვა პრობლემები გამოიწვიოს, ისევე, როგორც მესიჯების მიღებამ. ამდენად, იკარგება გადაცემის ისეთი პლუსი, როგორცაა პრივატულობა. შეიძლება ასევე იყოს დიდი დროის შუალედი მესიჯის გადაცემასა და მიღებას შორის. სხვა ინსტიტუციონალური პრობლემები მოიცავს ხელმისაწვდომი კომპიუტერული ტექნიკის ცოდნისა და ტრენინგის ნაკლებობას. ამ დაბრკოლებებს ქალებისთვის კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ მათ უმეტესად ნიშნავენ დაბალ, ნაწილობრივ დასაქმებულ და დროებით თანამდებობებზე, და ამგვარად, ისინი ტექნოლოგიური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე აღმოჩნდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორში ორგანიზაციებს უმეტესად საერთოდ აკლიათ ინფორმაცია, რასაც ემატება ICT-სთან ნაცნობობის დაბალი დონე, ტრენინგის ნაკლებობა, საიმედო სატელეფონო ხაზების ნაკლებობა და ფონდების სიმწირე. არას-

არასამთავრობო
ორგანიზაციების
სექტორში
ორგანიზაციებს
უმეტესად საერთოდ
აკლიათ ინფორმაცია,
რასაც ემატება ICT-სთან
ნაცნობობის დაბალი
დონე, ტრენინგის
ნაკლებობა, საიმედო
სატელეფონო ხაზების
ნაკლებობა და
ფონდების სიმწირე.
არასამთავრობო
ორგანიზაციების
კონცენტრაციამ საწყისი
დონის განვითარების
ლონისძიებებზე,
შეიძლება გამოიწვიოს
უნდობლობა ICT-
ის მიმართ და
მოსაზრება, რომ ისინი
არაადექვატურია
განვითარებად
ქვეყნებში.

ამთავრობო ორგანიზაციების კონცენტრაციამ საწყისი დონის განვითარების ლონისძიებებზე, შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა ICT-ის მიმართ და მოსაზრება, რომ ისინი არაადექვატურია განვითარებად ქვეყნებში. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ყველაზე ღარიბი მოსახლეობის პრობლემებით არიან დაკავებული, სადაც ელემენტარული მოთხოვნილებებისა და ცხოვრების მინიმალური პირობების უზრუნველყოფის პრობლემას პრიორიტეტი ენიჭება „ფუფუნებასთან“ შედარებით. ისევ იმის გამო, რომ ქალები უღარიბესი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ, მათი კონცენტრაცია პირველად აუცილებლობაზე ხელს შეუშლის მათ მიერ ICT-ის მიღებას და ცოდნას.

იმ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც სარგებლობენ ICT-ის მეშვეობით მიღებული ინფორმაციით, ან რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ICT-ზე, მათი გამოყენება შეიძლება შემთხვევითი ან ნაწილობრივი იყოს. ბევრი ჯგუფი, რომლებიც ჩაერთნენ ინტერნეტში პეკინის პროცესში ჩაბმის შედეგად, დაკარგეს ინტერესი კონფერენციის დამთავრების შემდეგ. ეს მოხდა პოტენციური გამოყენების შესაძლებლობის აღიარების ნაკლებობისა და ტექნიკური სირთულეების გამო. (ტექნიკური მომსახურების პროვაიდერების ნაკლებობა მათ საშუალებას აძლევს უფრო მაღალი ტარიფები დაანესონ, რის გამოც ქალთა ჯგუფები არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ) სხვა ჯგუფებს, რომლებმაც შეინარჩუნეს ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობები, მხოლოდ პასიური როლის შესრულება შეუძლიათ ინფორმაციის მიღებაში და არ ცდილობენ საკუთარი ნვლილი შეიტანონ ვირტუალურ დისკუსიებში. ქსელური კავშირისა და ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობის გამო საქართველოს სხვადასხვა სექტორის ქალებს შორის, მაგალითად მდივნებს, აქტივისტებსა და მკვლევარებს შორის დამატებითი დაბრკოლებები ექმნება ინფორმაციის უკეთესად გამოყენებასა და გავრცელებას ქალების შესაძლებლობების გაფართოებისთვის.

ქალებისთვის ხელმისაწვდომობის სხვა დაბრკოლებები მოდის იმათგან, რომლებსაც პროფესიონალურად არ მიუწვდებათ ხელი ICT-ზე, ამასთან, ზემდგომი ორგანიზაციები ნაკლებად აძლევენ ICT-ის გამოყენების სტიმულს ქალთა ორგანიზაციებს.

დაბრკოლებების დაქვეშა: ქალები ეუფლებიან ICT-ს

საქართველოს ქალთა ჯგუფების, ICT-ის პროფესიონალების, საქართველოს APC ქსელების და World Wide Web-ის წინასწარი შესწავლის შედეგად აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ქალები ჯერ მხოლოდ იწყებენ ICT-ით სარგებლობას, ისინი ჯერ კიდევ ICT-ის მომხმარებლების ძალზე მცირე ნაწილს წარმოადგენენ. იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ ქალები იყენებენ ICT-ს, საკუთარი განვითარების მიზნებისთვის, ძალზე ცოტაა. უნდა ითქვას, რომ დაინყო და დაგეგმვის ეტაპზე ბევრი ინოვაციური და ამაღელვებელი პროექტია.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ქალების მონაწილეობა ICT-ის სფეროში შეესაბამებოდეს მათ მდგომარეობას, პერსპექტივებსა და საჭიროებებს. მათთვის აუცილებელია მხარდაჭერა, რათა შექმნან საკუთარი ტექნოლოგიური პროცესები და შესაძლებლობები; ვირტუალური სივრცე, რომელშიც არ არის იძულება და რომელიც ხელს შეუწყობს ქალების შესაძლებლობების შესახებ არატრადიციულ შეხედულებებს; შინაარსი, რომელიც დაეხმარება მათ საჭიროებების დაკმაყოფილებაში და საშუალებას მისცემს მათ შეასრულონ მათი სანარმოო, რეპროდუქციული და თემის მენეჯმენტის როლები უფრო ეფექტურად. საქართველოში ქალების მიერ ICT-ის გამოყენების შემდეგი მაგალითები მიანიშნებს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ძლიერ პოტენციალზე ამ მიზნების მისაღწევად. ქალების ICT-ის სფეროში მონაწილეობის მხარდაჭერისა და ხელშეწყობისთვის აუცილებელია პიონერული ძალისხმევის ამ მაგალითებზე დაყრდნობა.

უცოდინრობის დაძლევა

როგორც ზემოთ განვიხილეთ, განვითარებად ქვეყნებში ქალების მიერ ICT-ის გამოყენების უმთავრესი დაბრკოლებაა უცოდინრობა ICT-ის სფეროში, ეს საქართველოსაც შეეხება. ასეთ ვითარებაში არსებობს იმის საფრთხე, რომ ICT გააფართოებს და გააღრმავებს უფსკრულს მდიდრებსა და ღარიბებს შორის, რადგანაც ეკონომიკა სულ უფრო და უფრო მეტად ეყრდნობა ინფორმაციას. თუმცა, ამ პრობლემის მიმართ ორი სხვადასხვა მიდგომა გვიჩვენებს, რომ ICT-ს შეუძლია რეალური დახმარების განწევა უცოდინრობის დაძლევაში.

ქალების სამენარმეო საქმიანობის მხარდაჭერა

ქალების სამენარმეო საქმიანობაში ICT-ის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი პლუსია ქართველი ქალებისთვის, რომელიც ჯერ კიდევ არაა რეალიზებული. ახლახანს რეენეტ-ის მიერ ჩატარებულმა საჭიროებების შეფასებამ, რომელიც ქალთა 200-ზე მეტ ჯგუფს ჩაუტარდა საქართველოში, უჩვენა, რომ დიდი იყო დაინტერესება ICT-ის პოტენციალით ქალების შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით. ეს შეეხება როგორც ქალების სამენარმეო საქმიანობას, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების დონეს, რაც ზრდის უფრო მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობებს. დროული ინფორმაცია პოლიტიკის, წარმოების მეთოდების და მხარდაჭერის, ასევე რეკლამისა და მარკეტინგის სფეროში, შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს საწარმოს წარმატებისთვის. ეს ჯერ კიდევ არაა სრულად გამოკვლეული ქართველი ქალების ბიზნეს ინფორმაციის საჭიროების კონტექსტში. ამის გარდა, ინტერნეტი და World Wide Web ეროვნული და საერთაშორისო მარკეტინგის და რეკლამის მნიშვნელოვან შესაძლე-

ბლობებს ქმნის. ქალთა ჯგუფები საქართველოში იყენებდნენ ICT-ს საერთაშორისო პარტნიორებთან ვაჭრობისთვის. ჯგუფების მზარდი რაოდენობა ჩრდილოეთში, რომლებიც სამხრეთული საქონლის იმპორტს ახდენენ, დისტრიბუციისთვის წარმოადგენენ ინფორმაციას მათი საქონლის შესახებ ინტერნეტში; თუ ქართველი ქალები შეძლებენ ისარგებლონ ამით, ეს ასევე შექმნის ბიზნესის მხარდაჭერისა და ბაზრების გაფართოების შესაძლებლობას, განსაკუთრებით კომერციული ცოდნის და ბიზნესის უნარ-ჩვევების თვალსაზრისით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ადგილობრივი თვით-დაფინანსების კრიტიკული მნიშვნელობის ელემენტი, რომელიც ამ ჯგუფებს სჭირდებათ, არის ICT-ის სფეროში ბიზნესთან დაკავშირებული უნარ-ჩვევებისა და საქმიანობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა.

საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციური როლი

ყველა დონეზე ქალთა ორგანიზაციების სწრაფ ზრდასთან ერთად, განვითარების განათლების, ტრენინგისა და საქმიანობის სფეროში მათი დადასტურებული უნარების გამო ისინი არსებით ელემენტს წარმოადგენენ ქალების ICT-ის სფეროში მონაწილეობის ხელშეწყობის სტრატეგიაში. მათ საზოგადოდ ენდობიან ადგილობრივი თემები, ისინი მოქნილი არიან მუშაობაში და დიდ ინოვაციურ და შემოქმედებით პოტენციალს იჩენენ განვითარების პროექტების დაგეგმვასა და ორგანიზებაში. რამდენიმე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციას გააჩნია ფართო ქსელი და მნიშვნელოვან ოპერაციებს აწარმოებენ მთელს საქართველოში. ისინი კარგ მდგომარეობაში არიან ტექნიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ICT-ის სფეროში ტრენინგისა და განხორციელების პროგრამების შემუშავების მიზნით.

ICT-ის მიწოდებისა და ხელმისაწვდომობის სისტემები

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე გააჩნიათ მნიშვნელოვანი პოტენციური გარკვეული როლი შეასრულონ საქართველოში ქალების მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და გამომუშავების ხელშეწყობის საქმეში, რამდენადაც ღირებულება, ტექნოლოგიური საექსპერტო კვალიფიკაცია, შეკეთებისა და ინფრასტრუქტურის პრობლემები უზრუნველყოფს იმას, რომ ICT ადამიანების უმეტესობისთვის ხელმიუწვდომელი დარჩება უახლოეს მომავალში. საჭიროა ხელმისაწვდომობის, მიწოდებისა და ინფორმირების ისეთი ალტერნატიული სისტემების შექმნა, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება საქართველოში არსებულ სიტუაციას. ეს განსაკუთრებით შეეხება ქალებს, რომლებსაც ნაკლები ეკონომიური შესაძლებლობები, ტრენინგი და ტექნიკური საექსპერტო კვალიფიკაცია გააჩნიათ.

ქალებისთვის გათვალისწინებული სტრატეგია კონცენტრირებული უნდა იყოს ელ-ფოსტისა და კონფერენციების სისტემებზე. მთელს მსოფლიოში ჩატარებული გამოკვლევები უჩვენებს, რომ ქალები ელ-ფოსტას გაცილებით უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე ინტერნეტის სხვა მომსახურებას, დროის, ხარჯებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გამო. საქართველოში ელ-ფოსტის მომსახურება საზოგადოდ უფრო მეტად გამოიყენება, მაგრამ ისევ შემოსავლების თვალსაზრისით ქალების სიტუაციიდან გამომდინარე, თავს უყრის მათ უფრო მარტივი ტექნოლოგიური სისტემების გარშემო. სამხრეთ საქართველოში პრობლემა ისაა, რომ ICT პუბლიკაციები და ICT გარემო კონცენტრირებულია ბაზრის უფრო ძვირადღირებულ სეგმენტებში, უფრო სწრაფი ტექნიკითა და უფრო შთამბეჭდავი გრაფიკით. მოსახლეობის უმეტესობის მდგომარეობა უჩვენებს, რომ ეს მხოლოდ მცირერიცხოვანი ადამიანებისთვისაა ხელმისაწვდომი, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს უფრო მარტივ ICT-ს.

იმ ქალების უმრავლესობა, რომლებსაც დღეს ხელი მიუწვდებათ ICT-ზე, ისინი სარგებლობენ კვლევითი ინსტიტუტებიდან, სამთავრობო

ორგანოებიდან და ზოგიერთი ბიზნესიდან. უფრო ღარიბ სეგმენტს და სოფლის მცხოვრებლებს ამჟამად საერთოდ არ მიუწვდებათ ხელი ICT-ზე, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს განვითარებისთვის. საქართველოს ქალებისთვის ყველაზე სასარგებლო იქნებოდა გადაცემის სისტემების ტექნიკური ასორტიმენტი, რომელიც მოიცავს ქსელებს, ფაქსს, კომპიუტერულ კომუნიკაციას და საკუთარ WWW შეერთებასაც კი, რაც შეერთებული იქნებოდა ქსელში ჩაურთავ ან დაბალტექნოლოგიურ გავრცელების ქსელებთან. პეკინში ქალები განიხილავდნენ ინტერნეტიდან ჩამოტვირთული ინფორმაციის საკომუნიკაციო ცენტრის ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ადგილობრივად გავრცელების საკითხს, ვერბალური ურთიერთობისა და განათლების მეშვეობით. სხვა შესაძლო საშუალებები მოიცავს (უკვე დადასტურებული ეფექტური გავრცელების საშუალება) რადიოს, ტელევიზიას და მუსიკასაც კი. ერთ-ერთი რთული ამოცანა ასეთი სისტემისთვის არის ინფორმაციის გაფილტვრა, რომელიც ბუნებრივად ხდება ჩამომტვირთვის არჩევანის მიხედვით, რომელმაც უნდა გადანყვიტოს, თუ რომელი ინფორმაციაა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გავრცელდეს. ამის გადანყვიტვა შესაძლებელია ხშირი კონსულტაციებით მიმღებ ჯგუფებთან.

დროის პრობლემათა ქალებისთვის

ის ფაქტი, რომ ქალებს ცოტა დრო აქვთ, ზემოქმედებას ახდენს ICT-ის ფორმასა და შინაარსზე. ქალების უმეტესობა სარგებლობას ვერ მიიღებს ICT-გან, ვერ შეძლებს სრულად გამოიყენოს მისი პოტენციური თუ ვერ დაინახავს ICT-ში მონაწილეობის პირდაპირ სარგებელსა და შედეგს. პირადი გამოცდილება სხვა გენდერიზებულ ელექტრონულ ფორმასთან ერთად მიუთითებს, რომ ქალებს, საზოგადოდ, არ გააჩნიათ „ჩათებში“, ფილოსოფიურ დისკუსიებში მონაწილეობის, ან საზოგადოდ ქსელში ნავიგაციის დრო და მოთმინება, თუმცა, ისინი გაცილებით უფრო პრაქტიკულად აფასებენ ICT-ის სარგებლობას. ქალებს უნდათ საიმედო, ფაქტობრივი მონაცემები, მაგ.

ინფორმაცია ჯანდაცვისა და განათლების პრაქტიკული საკითხების შესახებ, სამთავრობო პოლიტიკური დოკუმენტები საკუთარ და სხვა ქვეყნებში. ამდენად, ისინი დაინტერესებული არიან კონკრეტული თემატური და სექტორული საინფორმაციო სისტემებით, რომლებსაც ისინი აღიქვამენ, როგორც გარკვეული პრაქტიკული მიზნების მიღწევას. ამას უჩვენებს ის ფაქტი, მაგალითად, რომ ქალების მიერ ICT-ის გამოყენებას, მთელს მსოფლიოში, სტიმული მისცა ქალების დაინტერესებამ იმ ინფორმაციით, რომელიც შეიქმნა გაეროს ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე.

ამის გამო, ქალების ICT-ს სფეროში მონაწილეობის ხელშეწყობა გულისხმობს კონცენტრაციას იმ სექტორებზე, რომლებშიც ICT ყველაზე მეტ სარგებლობას მოუტანს ქალებს, მათი სამმხრივი როლიდან ნებისმიერის შესრულებისას. ქალებმა შეიმუშავეს და ავითარებენ ქსელებსა და საკომუნიკაციო პროექტებს იმ სფეროებში, რომლებსაც ისინი კრიტიკულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

სხვა სფეროები, რომლებშიც ICT სარგებლობას მოიტანს, არის გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი და საკვები პროდუქტების წარმოება. საქართველოში ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის საქმეში და ნატურალური მეურნეობებისთვის სასურსათო კულტურების წარმოებისა და გადამუშავების სფეროში. მათთვის მიმდინარე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ძალზე მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც მათი როლი ამ სფეროს შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. როგორც მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობის ბუნებრივი ცოდნის მატარებლები, ქალები, UNCST-ის მიერ აღიარებული არიან, როგორც კრიტიკული როლის მატარებლები უფრო სტაბილური საზოგადოების განვითარების საქმეში.

ქალებისთვის მოსახერხებელი ICT სისტემების განხორციელება

ამ დისკუსიებიდან და კონკრეტული მაგალითების შესწავლიდან ნათელი ხდება, რომ ქალებისთვის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სად იქნება განთავსებული ტექნოლოგიები, ხოლო ICT-ის

ყველაზე ეფექტური და ხელსაყრელი გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული შექმნილი და გავრცელებული ინფორმაციის ტიპთან, ე. ი. ინფორმაციასთან, რომელიც უშუალოდ უწყობს ხელს და ეხმარება ქალების საქმიანობასა და პასუხისმგებლობებს.

ამ დისკუსიებიდან და კონკრეტული მაგალითების შესწავლიდან ნათელი ხდება, რომ ქალებისთვის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სად იქნება განთავსებული ტექნოლოგიები, ხოლო ICT-ის ყველაზე ეფექტური და ხელსაყრელი გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული შექმნილი და გავრცელებული ინფორმაციის ტიპთან, ე. ი. ინფორმაციასთან, რომელიც უშუალოდ უწყობს ხელს და ეხმარება ქალების საქმიანობასა და პასუხისმგებლობებს. რამდენადაც უახლოეს მომავალში, ICT-ს პირად საკუთრებაში ქონა საქართველოს ქალების დიდი უმრავლესობისთვის შეუძლებელია, ეს ნიშნავს, რომ სად და როგორ იქნება მათთვის ICT-ი ხელმისაწვდომი ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს მოიცავს ინსტიტუციონალურ, სექტორულ და გეოგრაფიულ კონტექსტებს. ამჟამად მხოლოდ საშუალო კლასის და პროფესიონალი ქალები სარგებლობენ ICT-ით.

იმისათვის, რომ სხვა კლასების ქალებისთვის ICT-ს ხელმისაწვდომობა გაადვილდეს, როგორც გამოკვლევის შედეგად მიღებული ინდიკატორებიდან ჩანს, საჭიროა, რომ ICT განთავსდეს ადგილობრივ დანესებულებებში, სადაც ქალებს ღიად და თანასწორად მიუწვდებათ ხელი, მაგალითად ისეთ დანესებულებებში, როგორცაა ჯანდაცვის ცენტრები, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, ქალთა დასაქმების ცენტრები, ბიბლიოთეკები, ქალთა კვლევითი დეპარტამენტები, დანესებულებები და შესაძლოა, ეკლესიებიც კი. ამ კონტექსტში, მდებარეობას ასევე განსაზღვრავს ქალებისთვის საჭირო ინფორმაციის ხასიათიც. მათი დროის ნაკლებობის გამო ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ადგილობრივ ჯანდაცვის ცენტრში დაეხმარება ქალებს მიიღონ ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც მათ სჭირდებათ საკუთარი თავისა და ბავშვებისთვის. კონკრეტული საჭირო ინფორმაციის მიწოდება ამავე დროს იგივეა, რაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ვიზიტი. როდესაც ქალები შეძლებენ გაიგონ და გამოსცადონ ICT-ის სარგებლობა, ისინი სწრაფად აითვისებენ მას. თუ ქალები გაითვალისწინებენ გენდერულ

დაბრკოლებებს, სატელეკომუნიკაციო ცენტრების დაარსება ადგილობრივ თემებში ასევე პოტენციურად სასარგებლო სტრატეგიაა. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების სტრატეგიები იმისათვის, რომ ჩართვის თითოეული პუნქტიდან მაქსიმალური სარგებლობა იქნას მიღებული. სხვადასხვა მედიის მრავალტექნოლოგიური სისტემები უნდა იყოს მოქნილი, რათა ეფექტურად მისწვდნენ ქალთა მაქსიმალურ რაოდენობას საქართველოში.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეკომენდაციები

- გაზრდილი საბიუჯეტო დაფინანსების მოთხოვნა ქალთა ეროვნული აპარატურული აღჭურვილობის სფეროში, რათა შესაძლებელი იყოს ქალთა ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება;
- საქართველოს გეგმის ციფრული სტრატეგიის ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის საერთაშორისო ვალდებულებებთან, რაც გააფართოებს ქალების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით იმ ქალებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ სოფლად და მოშორებულ რაიონებში;
- ადამიანის უფლებების უნივერსალური პრინციპების მხარდაჭერის გაგრძელება, მათ შორის გამოხატვის, ინფორმაციის მიღების, მასმედიისა და კომუნიკაციის თავისუფლების, რათა უზრუნველყოფილი იყოს მსოფლმხედველობათა მრავალფეროვნება;
- ქალთა მედია ინიციატივების ოფიციალურად აღიარება პეკი-

ნის პლატფორმის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კრიტიკული მნიშვნელობის ხიდის გადება ქალებს შორის ყველა დონეზე, განსაკუთრებით მარგინალიზებულ თემებსა და პოლიტიკოსებს შორის;

- ICT-ის განხილვა, როგორც არსებითი ინსტრუმენტისა, გენდერული თანასწორობის მისაღწევად სოციალური და ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებთან მიმართებაში;
- დებატებისა და პოლიტიკური აქტიურობის კონცენტრაცია ICT-ზე, ადამიანის უფლებებისა და ადამიანური განვითარების ფარგლებში. ბევრი მონაწილისთვის ქალების მონაწილეობა პროგრამებსა და პოლიტიკაში უზრუნველყოფს ძალას, ზემოქმედებასა და სოციალურ შესაბამისობას, თუ ისინი დაუკავშირებენ ICT-ს სიღარიბის, უმუშევრობის, ძალადობის, რასიზმის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ და დემოკრატიისა და ეკონომიკური ზრდისთვის ბრძოლას.
- საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით და სხვა გზებით ქალების მოტივირება გამოიყენონ ICT, მათი სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებისა და მათი თემის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის;
- ალიანსების შექმნა მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ეფექტური და სტაბილური პოლიტიკის და პროგრამების განსახორციელებლად ICT-ის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობას და სოციალურ სამართლიანობას;
- პოლიტიკურ თანამდებობებზე მყოფი ქალების სენსიტიზაცია, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ასევე პარლამენტში, გენდერული განზომილებისა და ახალი ტექნოლოგიების სფეროში, რათა მათ მხარი დაუჭირონ კანონებს, ნორმატივებსა და პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია ქალების მოთხოვნილებებთან და სქესობრივი მიკერძოების თავიდან აცილებასთან;
- ინდივიდუალური პირების, ორგანიზაციებისა და მიდგომების მხარდაჭერა, რათა დაინერგოს გენდერული ანალიზი და პერ-

სპექტივები პოლიტიკურ კვლევებსა და რეკომენდაციებში, საქართველოში ინტერნეტში ჩართვასთან და სისტემებთან დაკავშირებით;

- კვლევების ჩატარება, რათა განისაზღვროს ეროვნული პოლიტიკის მდგომარეობა ICT-ის სფეროში და მისი შემუშავების პროცესში ქალების მონაწილეობის ხარისხი.

გენდერული მიდგომა ICT-ს სფეროში პოლიტიკისა და პროგრამების მიმართ

პრობლემის განსაზღვრა	პერსპექტივა	მიზნები	ზომები, ღონისძიებები	ეთიკური, პოლიტიკური პრინციპები
ქალებისთვის, როგორც ICT-ის მომხმარებლების, სტუდენტების, მასწავლებლების, მუშებისა და პროფესიონალების არათანასწორი მონაწილეობა და ხელმისაწვდომობა	„დეფიციტური მოდელი“ ქალები განიხილებიან, როგორც არახელსაყრელ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფნი	ყველა ქალისთვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ICT-ის ხელმისაწვდომობის, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამებში დარგებში მონაწილეობის თვალსაზრისით	სათემო პროექტები (ტელეცენტრები და მისთ.) საგანმანათლებლო და ტრენინგის პროგრამები, სტიპენდიები, საზოგადოებრივი კამპანიები, აპარატურის უზრუნველყოფა და სხვა ინიციატივები ქსელური ნავიგაცია	ქალის უფლებები თანასწორი შესაძლებლობები გენდერული სამართალი ქალების, როგორც გლობალური საზოგადოების ნაწილის ინტეგრაცია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებასა და მოდერნიზაციაში
განმარტებები: ეკონომიკური რესურსების, განათლებისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა კულტურული ფასეულობები და გენდერული დისკრიმინაციის სურათი საზოგადოებასა და დანესებულებებში	კომპენსატორული სტრატეგია			

<p>ICT-ის გენდერული ხასიათი და მახასიათებლები: კონცენტრაცია შინაარსზე, ფორმატებზე, გამოყენებაზე, ზემოქმედებაზე, რეგულირებასა და სხვ.</p> <p>ICT, როგორც ძალაუფლებასთან ურთიერთობის სფერო:</p> <p>ქალების მოთხოვნილებების, ცოდნის, უნარ-ჩვევების და ტექნოლოგიური კულტურის იგნორირების დევალაცია</p> <p>ჰომოგენიზაცია და მრავალფეროვნება</p>	<p>„დიფერენციული მოდელი“ (ICT-ის სფეროში ქალების კულტურის, ფასეულობებისა და ხედვის რევალაცია)</p> <p>კრიტიკული სტრატეგია</p>	<p>ქალების მოთხოვნილებების, „ცოდნის ხერხების“ ინტეგრაცია საინფორმაციო და საკომუნიკაციო, საგანმანათლებლო, კვლევით და ინოვაციის პროექტებში</p> <p>ახალი შინაარსის, ფორმატისა და ინსტრუმენტების და ა. შ. განზოგადება</p> <p>ტექნოლოგიური დისკურსისა და დომინანტური პრაქტიკის რღვევა</p>	<p>აქცენტი კვლევებსა და აკადემიურ დისკუსიებზე</p> <p>კობერ-ფემინისტური თეორიები და ინოვაციური გმოცდილება</p> <p>ქალებზე ორიენტირებული ტრენინგისა და საგანმანათლებლო პროექტები</p> <p>შინაარსში, ინსტრუმენტებსა და ICT პოლიტიკაში</p> <p>ძალაუფლებისა და გენდერის დამოკიდებულების კრიტიკული ანალიზის ხელშეწყობა</p>	<p>ინკლუზიურობა</p> <p>მრავალფეროვნება,</p> <p>შესაძლებლობების გაფართოება</p> <p>ICT-ის ხარისხის და სოციალური გამოყენების გაუმჯობესების გადამწყვეტი ფაქტორები</p>
<p>როგორ უნდა შეიცვალოს გენდერსა და ძალაუფლებას შორის დამოკიდებულება ICT-ში და მისი მემკვიდრეობით</p> <p>ინფორმაციის / ცოდნის საჭიროება, მნიშვნელობა, ძალაუფლება და ზემოქმედება გენდერულ თანასწორობაზე და ადამიანის განვითარებაზე</p>	<p>ტრანსფორმაციული სტრატეგია</p>	<p>ძირითადი მიმართულების გენდერული ანალიზი, დაგეგმვა და შეფასება ICT-ის პოლიტიკაში, პროგრამებსა და პროექტებში, ეროვნულ რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე</p> <p>ICT-ის ყველა განზომილებაში პრობლემების მოგვარება (ხელმისაწვდომობა, დანიშნულება, გამოყენება, წარმოება, მენეჯმენტი, მფლობელობა, რეგულირება, პოლიტიკა და ა. შ.)</p>	<p>სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება და ICT-ის სფეროში გენდერული ინდიკატორების შემუშავება</p> <p>(ინტერდისციპლინარული)</p> <p>გენდერული ურთიერთობის კვლევა ICT-ის ყველა ასპექტში</p> <p>ლობირება და უწყვეტი დიალოგი მკვლევარებს, პოლიტიკოსებს, ქალთა ჯგუფებსა და კორპორატიულ სექტორს შორის</p> <p>ქსელები და თანამშრომლობის პროექტები რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე</p>	<p>გრძელვადიანი ტრანსპორმაციის სტრატეგია</p> <p>ახალი სოციალური პარადიგმის შექმნა: გენდერულად სამართლიანი ცოდნის საზოგადოების.</p>

კონკრეტული რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები

ქალებისთვის ICT სისტემების დაგეგმვისას შემდეგი ზოგადი საკითხები უნდა იქნას მხედველობაში მიღებული:

- ქალების საინფორმაციო მოთხოვნილებები არ მოიცავს მხოლოდ ინფორმაციის პასიურად მიღებას.

ქალებს გააჩნიათ სამეცნიერო და ტექნოლოგიური საექსპერტო კვალიფიკაცია და ცოდნა, რომელიც უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. მათ ასევე აქვთ კონკრეტული სირთულეები და პერსპექტივები, რომლებიც ინტეგრირებული უნდა იყოს ICT სისტემებში, ისევე, როგორც საინფორმაციო სისტემებში სტაბილური და სამართლიანი განვითარებისთვის.
- ICT სფეროში ჩაბმა მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ქალების შესაძლებლობების გაფართოებისთვის.

სირთულეებთან და პერსპექტივებთან დაკავშირებით ურთიერთობას ცენტრალური ადგილი უკავია შესაძლებლობის გაფართოების საქმეში, როგორც ამ სირთულეებისა და პერსპექტივების პუბლიკაციისთვის, ასევე ინფორმაციისა და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს ქალების თვითცნობიერების ამაღლებას. შემდგომ, ამ ტექნოლოგიების დეცენტრალიზებული, ინტერაქტიური და არა-იერარქიული ხასიათი უსაფრთხო გარემოს ქმნის ქალებისთვის, მათი თვალსაზრისის, მოსაზრებების განვითარების, ქალებთან ინტერაქტიული კომუნიკაციიდან სარგებლობის მიღებისთვის. ამის გარდა, მას შემდეგ, რაც ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისთვის სანყისი ხარჯები დაიფარება, ICT წარმოადგენს საინფორმაციო ბიულეტენების, სტატიების, მონოდეტებისა და ა. შ. გამოქვეყნების იაფ და შედარებით მარტივ საშუალებას.

- **ქალებს სჭირდებათ თავიდანვე განსაზღვრონ და განავითარონ საკუთარი ICT სისტემები.**

სხვა საკომუნიკაციო მედიასთან მუშაობის გამოცდილება უჩვენებს, რომ ქალები აქტიურად უნდა ჩაებან ახალი ტექნოლოგიების განსაზღვრის, განვითარებისა და ინფორმირების საქმეში, ისეთი სივრცის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს მათი საჭიროებების განხილვას, წარმოაჩინოს მათ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს უსაფრთხოდ და სტერეოტიპების გარეშე და მოაგვარებს მათ პრობლემებს. უარყოფითი სტერეოტიპების, ქალების დისკრიმინაციის და სექსუალური ძალდატანების შემთხვევები უკვე აშკარად ჩანს ინტერნეტში.

